„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№1 (205)
იანვარი
2016 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეთვრამეტე წელი "LITERATURULI MESKHETI" "ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"

2016 წელი
შოთა რუსთაველის წლად გამოცხადდა

საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N2725 2015 წლის 18 დეკემბერი ქ. თბილისი

შოთა რუსთაველის საიუბილეო ღონისძიების ჩატარების ხელშემწყობი კომისიის შექმნის შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შეიქმნას შოთა რუსთაველის საიუბილეო ღონისძიების ჩატარების ხელშემწყობი კომისია (შემდგომში – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე;

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი;

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი;

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი;

საქართველოს ფინანსთა მინისტრი;

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი;

საქართველოს ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში (ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები) სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი;

სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წარმომადგენელი;

სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი;

სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელი;

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი;

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის წარმომადგენელი;

სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელი.

2. კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება ეთხოვოს საქართველოს პარლამენტის წევრს/წევრებს.

3. კომისიის სხდომებში შესაძლებელია მონაწილეობა მიიღონ სხვა უწყებების წარმომადგენლებმა ან მოწვეულმა პირებმა.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

№1

„რუსთაველზე უკეთ სიყვარულისთვის არავის არ უმღერია, არავის არ აუყვანია სიყვარული ისეთ სიმაღლეზე, როგორც რუსთაველმა თავის პოემაში. „ვეფხისტყაოსანი“ შუა საუკუნეების ყველაზე შესანიშნავი ქმნილებაა. დასავლეთ ევროპის იმავე ეპოქის დიდი პოემებისაგან განსხვავებით, იგი თავისუფალია ყოველგვარი მისტიკისგან და აღორძინების ეპოქის ქმნილებათა მსგავსად, ქრიატიანულ მოძღვრებაზე მაღლა დგას. საქართველომ წარმოშვა თავისი დანტე“.

ლუი არაგონი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი — 25

ჩვენი უნივერსიტეტი

გუშინდელივით მახსოვს ის ამაღელვებელი წუთები, როდესაც სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს აუხდენელი ნატვრა რომ აუსრულდა, – უნივერსიტეტის გახსნა ჩვენს რეგიონში არ ნიშნავდა მხოლოდ უნივერსიტეტს, ეს ყველას ჰქონდა გაცნობიერებული და, ასეცაა. ჩემთვის, და არა მხოლოდ ჩემთვის, ეს არის „ჩვენი უნივერსიტეტი“, რომელიც თითოეული ჩვენთაგანის სიამაყე და საზრუნავია. რამეთუ, ის ჩვენი, ჩვენი შვილების, შვილიშვილების მომავალია. მომავალი, რომელიც ჩვენი ქვეყნის აღორძინებასთან ასოცირდება.

25 წელი, ისტორიისთვის, თითქოს, ცოტაა, მაგრამ ჩვენმა უნივერსიტეტმა, ამ მცირე დროში, მისი განვითარების, გაძლიერებისა და გაზრდის კუთხით, ძალიან ბევრი წარმატებული ნაბიჯი გადადგა... მიხარია, როდესაც ვკითხულობ, ან მეკითხებიან – „უნივერსიტეტის რომელ კორპუსში“?

დიახ, მიხარია, რომ უნივერსიტეტის კორპუსები გამრავლდა ახალციხეში. მიხარია, რომ ამ კედლებში პროფესიულად გაიზარდა და კიდევ გაიზრდება არაერთი წარმატებული ადამიანი, მეამაყება, რომ „ჩვენ უნივერსიტეტში“ მოღვაწეობდა და მოღვაწეობს არაერთი თვალსაჩინო, უნივერსიტეტის მომავალ კეთილდღეობაზე მზრუნველი, თავდადებული მეცნიერი და პიროვნება.

ბატონო მერაბ, თითქოს ნიშანდობლივია, რომ 25 წლის თავზე ისევ თქვენ მოგვილოცეთ უნივერსიტეტის იუბილე, ისე, როგორც მოგვილოცეთ 25 წლის წინ, ისე, როგორც ჩვენ გილოცავდით, მადლიერებას გამოვხატავდით და გამოვხატავთ თქვენი შეუფასებელი წვლილისთვის ჩვენი უნივერსიტეტის დაარსებისა და არსებობისთვის.

მე, როგორც ამ უნივერსიტეტის ერთ-ერთი მადლიერი კურსდამთავრებული, როგორც ერთ-ერთი რიგითი მოქალაქე ჩვენი რეგიონის, როგორც ერთ-ერთი საგანამანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი და თქვენი წარმატებების გამზიარებელი, გისურვებთ კიდევ მრავალ წარმატებას სამომავლო საქმიანობაში და ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენი რეგიონისთვის „ჩვენი უნივერსიტეტი“ არ შეიცვლის არც შინაარსობრივ და არც მნიშვნელობით სტატუსს, იგი ყოველთვის დარჩება და იქნება ჩვენი რეგიონის საგანმანათლებლო სისტემაში პირველი და უპირველესი – „ჩვენი უნივერსიტეტი“.

ბელა ავალიშვილი,
სსიპ ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯის – „ოპიზარის“ დირექტორი

„ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორს ბატონ ავთანდილ ბერიძეს

ბატონო ავთანდილ,

თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობას მოვახსენებ ყველა იმ ადამიანს, ვინც გაითავისა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 25 წლის იუბილე და მოსალოცი წერილები გამოაქვეყნა. ვსარგებლობ შემთხვევით და თითოეულ მათგანს, „ლიტერატურული მესხეთის“ მკითხველს, ავტორებსა და მთელ საქართველოს, ვულოცავ 2016 წლის დადგომას.

პატივისცემით,

მერაბ ბერიძე,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

სიკეთის ფასი

ამირან ჯმუხაძე

ორმოცდაათ წელს მიტანებული დათო, დამწუხრებული ჩანს. დიდი ხანია უკვე რაც ცოლთან ურთიერთობა დაეძაბა. ამის მიზეზი კი მატერიალური გაჭირვებაა, სახლში მისვლა აღარ სურს, რადგან მეუღლე სულ ერთი და იგივეს უმეორებს: - შენ რა კაცი ხარ, ოჯახი ვერ შეგინახია, შვილები მშივრები გყავს და, ზოგადად, ყველაფერი ფეხებზე გკიდიაო.

არადა, რა ქნას, რა გზას დაადგეს, აღარ იცის. დავითი ისე გაიზარდა, მშობლები და ნათესავები სულ სიკეთეზე ელაპარაკებოდნენ, ცხოვრებაში ცუდი საქმე არასდროს ჩაიდინოო, სიკეთე თესე და ყველაფერი დაგიფასდებაო! მაგრამ, დახეთ ამ წუთისოფელს, მართლაც, ამ ხნის მანძილზე ცუდი არაფერი გაუკეთებია, ადამიანისთვის წყენა არ მიუყენებია, სანაცვლოდ კი, რა მიიღო? სრულიად საპირისპირო - დუხჭირი ცხოვრება და ამაზრზენი ყოფა. მართალია, შარშან, როგორც იქნა, სამსახური იშოვა, მაგრამ ანაზღაურება ჰქონდა დაბალი და ეს ფაქტი უფრო აღიზიანებდა, გასამრჯელოს აიღებდა თუ არა, მეორე დღეს ფული აღარ ჰქონდა, შვილები კი თავისას მოითხოვდნენ... ორივე სტუდენტი იყო, ბიჭი უნივერსიტეტში სწავლობდა, გოგო - სამედიცინოზე. ამ მხრივ შვილებმა მშობლები ასახელეს, ორივე უფასოზე მოხვდა, თორემ, ფასიანის შემთხვევაში, რა ეშველებოდათ? ამით დავითმა ცოტა შვება იგრძნო, მაგრამ, ყოველ დილას, შვილები რომ ფულს სთხოვდნენ და, ის მათ, სურვილისამებრ, ვერ აკმაყოფილებდა, ნერვები ეშლებოდა, მთელი დღე მოწამლული დადიოდა, არადა, ამ კრიზისიდან გამოსავალი არ ჩანდა, ამხელა კაცი ქურდობას ხომ არ დაიწყებდა?! ამიტომაც იყო, რომ უსახსრობამ ბუნდოვანი, მშფოთვარე ეჭვები გაუღვიძა, თანაც ფიქრობდა, ალბათ, მშობლის მოვალეობასაც ცუდად ვასრულებო. ეს განცდა კი მის ფსიქიკაზე ძალიან მოქმედებდა და, როგორც განათლებულ და სუსტი ნებისყოფის ადამიანს სჩვევია, ყველაფერს უიღბლობას აბრალებდა... ერთხელ, ისიც კი გაიფიქრა, ეგება, ბედმა გამიღიმოს და, სადმე, ქუჩაში, ან ტრანსპორტში, ფული ვიპოვნოო და სულ დაბლა იყურებოდა, თანაც, საკუთარ თავს დასცინოდა, - სულ გამოვშტერდი ამხელა კაციო, თუმცა, ბოლო დროს, მაინც, ოპტომისტურად იყო განწყობილი, გაიფიქრებდა ხოლმე - ოცნებას კაცი არ მოუკლავსო, თან, ამის გაფიქრებაზე, ეჭვი ღრღნიდა, ცხოვრებაში არაფერი გამმართლებია და რაღა ახლა მეწევა ბედიო. მაგრამ, ერთ დღეს, როცა სამსახურში მიდიოდა და პატარა ქუჩას მიუყვებოდა, ბუჩქებთან დაგდებული ცელოფნის პარკი შენიშნა. პარკი საკმაოდ გაბერილი იყო. დათო სწრაფად მიუახლოვდა, დაიხარა და პარკი ხელში აიღო, წელში გასწორდა, მარჯვენა ხელით პარკი გადასწია და ჩაიხედა. იგი ფულით იყო სავსე. გახარებულმა ბოლომდე გახსნა და პარკში ბლომად დოლარების კუპიურები აღმოაჩინა. ამის დანახვაზე პირი დააღო, მერე, გონს რომ მოეგო, პარკს თავი მოუკრა, ცოტა გაიარ-გამოიარა, ხომ არავის დავუნახივარო და, როცა დარწმუნდა, გარშემო არავინ იყო, ფეხს აუჩქარა. გზად მიმავალმა გააცნობიერა, რაც მოხდა და სუნთქვა შეეკრა. რა იყო, ეს? მოეჩვენა თუ მართლა იპოვა? და რომ მიხვდა, არ მოსჩვენებია, მიხვედრამ უფრო მეტად დაძაბა. და ისიც რომ გაიაზრა, ნაპოვნი ფული მის ცხოვრებას სხვა შინაარსს მისცემდა, ამაზე გაეღიმა კიდეც, მის სხეულში სიხარული აღარ ეტეოდა, კვლავ გაეღიმა, თითქოს საკუთარ თავს დასცინოდა, - აქამდე როგორ ვერ მოვიაზრე, რომ ამ ცხოვრებაში ყველაფერი ხდებაო და, დინჯი ნაბიჯით, ქუჩის აღმართს აუყვა, სიარულის დროს ოფლმაც დაასხა. მარჯვენა ხელით ძლიერად მოისრისა შუბლი და ცოტა შვება იგრძნო, როცა სამსახურს მიუახლოვდა, გული კვლავ აუჩქარდა. შენობის კარი შეაღო თუ არა, დერეფანში ადამიანების უჩვეულო სიმრავლემ და ხმამაღალმა ლაპარაკმა ფიქრები გაუფანტა. ამის შემხედვარემ, თავი მაღლა ასწია და სამუშაო ოთახში გადაწყვიტა შესვლა, მაგრამ გადაიფიქრა. გეზი ტუალეტისკენ აიღო, სწრაფად შეაღო და კარი შიგნიდან ჩაიკეტა, ცელოფნის პარკი კვლავ გახსნა და ფულს თვლა დაუწყო. თვლის დროს სულ ოფლში გაიწურა. როცა გადათვალა, აღმოაჩინა, რომ სამი ათასი დოლარი იყო. რომ დარწმუნდა თანხის სისწორეში, ონკანი მოუშვა და წყალი სახეზე შეისხა. ცოტა შვება იგრძნო, შემდეგ პირსახოცით სახე შეიმშრალა, ტუალეტიდან გამოვიდა და თავის ოთახისკენ გაემართა. თანამშრომლები ისე იყვნენ თავიანთი საქმით გართულნი, რომ დავითის მისვლა ვერც კი გაიგეს. დავითმა კომპიუტერი ჩართო, ოთახს თვალი მოავლო და თავი დახარა. ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი სკამზე გასუსული იჯდა და სუნთქვას ვერ ბედავდა. მოულოდნელად, რაღაც უცნაურმა აზრმა შეუთრთოლა გული. უწინარეს ყოვლისა, მოაგონდა ადრინდელი სულიერი ტკივილები, რომლებიც წლების მანძილზე უგროვდებოდა და გულს უსიებდა. გაიხსენა ის დღეები, უფულოდ რომ შედიოდა სახლში, ახლა კი, რაც ამდენი

ფული იპოვა, ცხადად წარმოიდგინა, თუ რა გულიანად და ამაყი სახით მივიდოდა შინ, როგორ მოეფერებოდა შვილებს, ცოტა ხომ არ იყო, - მთელი სამი ათასი დოლარი, თანაც, ისიც წარმოიდგინა, თუ როგორ სიხარულს იგრძნობდა მისი გოგო (რამდენი ხანია ძვირფას მობილურ ტელეფონს სთხოვს), ახლა კი ამ სურვილს აუსრულებდა. ბიჭსაც ახალ კომპიუტერს უყიდდა და მის გულსაც მოიგებდა, ეს კი, მისთვის, უდიდესი სიხარული იქნებოდა. წამოდგა და კედელზე დაკიდებულ სარკეში ჩაიხედა. საკუთარი სახე შეათვალიერა. მიუხედავად იმისა, რომ ღელავდა, მაინც კმაყოფილი და უშფოთველი გამომეტყველება ჰქონდა. შემდეგ შემობრუნდა, ფანჯრისკენ გაემართა, ფარდები გადასწია, გარეთ გაიხედა და კვლავ ფიქრებს მისცა თავი. – ვინ დაკარა ამდენი ფული, ნეტავი ვინ იყო, ვინ იცის, რაში ჭირდებოდა. იქნებ, საოპერაციო თანხაა და, ვინ იცის, რა დღეში იქნება ახლა?!

სინდისის ქენჯნამ შეაწუხა, – ქვეცნობიერი მაინც თავისას ითხოვდა, მაგრამ, თან ისიც გაიფიქრა, სჯობს ჩავთვალო - ღმერთის ბოძებულიაო. ამან ცოტა დაამშვიდა და გადაწყვიტა ცოლისთვის დაერეკა, მაგრამ, მყისვე გადაიფიქრა, ჯერ დავიცდი, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო. კვლავ კომპიუტერს მიუბრუნდა და სამსახურეობრივ მოვალეობას შეუდგა.

დრო სწრაფად გავიდა და შიმშილმაც შეაწუხა. ასე იცოდა, როცა რაღაცაზე ნერვიულობდა. მერე ზლაზვნით წამოდგა, თანამშრომლებს ბოდიში მოუხადა, განყოფილების უფროსთან მივიდა, ცოტა ხნით გაეთავისუფლა და გარეთ გავიდა, კიბეები სწრაფად ჩაირბინა და ქუჩას გაუყვა, როცა იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც ფული იპოვა, იქვე, შორიახლოს, ორი ყმაწვილი შენიშნა, ასე თხუთმეტი-თექვსმეტი წლისანი იქნებოდნენ. მათ წინ კი ხანში შესული კაცი იდგა. ბიჭებს დამწუხრებული სახეები ჰქონდათ. ფერი ნასვლოდათ და კაცის ლანძღვას უდრტვუნველად ისმენდნენ. კაცმა ერთ-ერთს კარგა ლაზათიანად მოსცხო კიდეც. ახლოს რომ მივიდა, უკვე სიტყვებიც გაარჩია, - ჭაღარათმიანი კაცი გაავებული ლანძღავდა ყმაწვილებს: - ფული როგორ დაკარგეთ, თქვე უტვინოებო, თქვენა!.. მერე თავის თავსაც შეუკურთხა, - ამ ლაწირაკებს, ამხელა ფული როგორ ვანდე, ახია ჩემზე! ახლა რა ვქნა, როგორ მოვიქცე, სად ვიშოვო ეს ფული, ბორია ბიძია რას იტყვის, თქვე იდიოტებო, რა უნდა გითხრათ, რაღაც ორასი მეტრი გაიარეთ და ამხელა პარკი რომ გაგივარდათ ხელიდან, როგორ ვერ გაიგეთ. როგორ გამოგაშტერათ ამ მობილურებმა, სულ იმას ჩასჩერებიხართ და, სხვა რა ხდება თქვენს გარშემო, არაფერი გაინტერესებთ. გაზარდე ახლა შვილები და შვილიშვილები. ვაი ჩემს თავს, ეს რა ხათაბალაში გავეხვიეო, - მოსთქვამდა უცნობი.

დავითმა დაკვირვებით გადახედა უცნობ მამაკაცს. იგი საშუალო სიმაღლის, ჩაფსკვნილი ტანისა იყო, გამომეტყველება კი, მეტად პირქუში ჰქონდა. მისმა სასტიკმა გამომეტყველებამ, დავითი, ცოტა არ იყოს, შეაკრთო. გული შეეკუმშა, დამნაშავედ იგრძნო თავი... თავჩაღუნულ ბავშვებს გადახედა და მათ სასოწარკვეთილ თვალებს თანაგრძნობით მიაჩერდა. გული სიბრალულით აევსო, ველარ მოითმინა და უცნობ მამაკაცს მიმართა: - ფული ამ ბავშვებმა დაკარგეს?!

უცნობი გაოცდა და დავითს გაკვირვებით მიაშტერდა:

- თქვენ გეუბნებით! - გაუმეორა დავითმა. - ამ ბავშვებმა ფული ხომ არ დაკარგეს-მეთქი!

- კი, დაკარგეს! - გაიკვირვა უცნობმა.

- ჰოდა, მაშინ მომისმინეთ: - დღეს, როცა სამსახურში მივდიოდი, აქეთ გამოვიარე, ამ ბუჩქებთან ცელოფნის პარკი შევნიშნე, ავიღე და სამსახურში წავიღე. როცა გავხსენი, შიგნით ფული იყო. ასე, რომ, თქვენი პრობლემა მოგვარებულია! - წარმოთქვა დავითმა და კვლავ ამ უჟმურ კაცს მიაჩერდა. უცნობი წამოწითლდა, შემდეგ სახე მოეღრიცა და დათოს ისე შეხედა, ალბათ, გაიფიქრა, – ვინ არის ეს იდიოტი, ფული ნახა და უკან აბრუნებსო!

- გიკვირთ, ხომ?! - გააგრძელა დავითმა. - რა ვქნა, ასეთი ვარ. პატიოსან ოჯახში გავიზარდე და ცუდის გამკეთებელი არ ვარ. ამ ბიჭებს რომ შევხედე, როგორ განიცდიან, გული დამეთუთქა. ამიტომაც გითხარით.

ამას რომ ამბობდა, თან თვალს არ აცილებდა უცნობ მამაკაცს, რომლის ფარულმა გამოხედვამ ძალიან გააღიზიანა, თანაც, მის მონუსხულ მზერას ველარ გაუძლო და თავი დახარა.

- რომ დათვალეთ, რამდენი ათასი დოლარი იყო? - მკაცრი ხმით და დამცინავი ღიმილით გაუმეორა წინადადება უცნობმა.

- უკაცრავად, ამ კითხვას რატომ მისვამთ?! - დაინტერესდა დავითი.

- იმიტომ, რომ სიკეთეს მარილი უნდა მოაყარო და არ უნდა მომატყუოთ!

- ტყუილი რა შუაშია, რამდენიც იყო, იმდენივეს გიბრუნებთ!

ამის გაგონებაზე ბიჭებმა ცრემლი მოიწმინდეს, თანაც, დავითს აკვირდებოდნენ და თვალებიდან სიხარულის ნაპერწკალი სცვიოდათ.

- ეს ბიჭები უცხოები არ არიან, ორივე ჩემი შვილიშვილია, ამიტომ წადით და ფული მომიტანეთ! - კვლავ მკაცრი ტონით მიმართა უცნობმა.

- კარგი, ბატონო, წავალ და მოგიტანთ.

- ხომ არ წამოგყვეთ? - წარმოთქვა უცნობმა მამაკაცმა, რომელსაც უცნაური ღიმილი დასთამაშებდა ტუჩებზე.

- მე დავითი ვარ, თოფურიძე, აი, ბატონო, პირადობის მოწმობას დაგიტოვებთ.

მამაკაცმა მოწმობა გამოართვა.

გზაში მიმავალს თვალწინ კვლავ ის ბიჭები წარმოუდგა. ვინ იცის, რამდენი ტკივილი გადაიტანეს ამ ამაზრზენი კაცისაგან. მართალია პაპა იყო, მაგრამ პაპაცაა და პაპაც... თუმცა, ახლა, ამაზე აღარ ფიქრობდა, მთავარი ის იყო, რომ ბიჭებს აგრძნობინა სიკეთის ფასი. ამ განწყობით სამსახურში დაბრუნდა. ცელოფნის პარკი უჯრიდან ამოიღო, ტყაპუჭის ჯიბეში ჩაიდო და კვლავ გარეთ გამოვიდა... – რამხელა ბედნიერებაა სიკეთის კეთება, – ფიქრობდა გზად მიმავალი დავითი. მართალია ეს ფული ოჯახს მოაკლო, მაგრამ ბიჭები ხომ გადაარჩინა!. ამ ფიქრებით მომლოდინეებს მიუახლოვდა. დავითის დანახვაზე საუბარი შეწყვიტა უცნობმა მამაკაცმა და დავითისკენ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი. ბიჭებიც მისკენ გამოემართნენ. დავითმა პარკი ჯიბიდან ამოიღო და უცხო მამაკაცს გაუწოდა.

- ესე იგი, თქვენ, დავითი გქვიათ, ხომ? - გამოსცრა უცნობმა.

- დიახ. - უპასუხა დავითმა.

- მე კი, ჟორა მქვია!

- ძალიან სასიამოვნოა.

- ჰოდა, ჩემო დავით, როგორც თქვენ მითხარით, ამ პარკში სამი ათასი დოლარი იყო!

- დაიხ!... ამით რისი თქმა გნებავთ? - გაოცდა დავითი.

- იცით, რას გეტყვით? თქვენ შეიძლება სხვა მოატყუოთ, მაგრამ ჟორა ტაბიძეს ვერ მოატყუებთ! მე თქვენისთანა აფერისტები ბევრი მინახავს!

- რას ლაპარაკობთ, ხომ არ შეიშალეთ?! ასე მიხდით სამაგიეროს? მე ხომ შემეძლო არც გამოგცნაურებოდით და ჩემი გზით წავსულიყავი? ასე, რომ, სისულელეებს თავი დაანებეთ! - გაცხარდა დავითი.

- მე თქვენ გიჩვენებთ სისულელეს, იმ პარკში ხუთი ათასი დოლარი იყო, ვაჟბატონო, გაიგე?! ახლავე თანხა დამიბრუნეთ, თორემ, პატრულს შევატყობინებ!

ამ სიტყვებმა დავითი ისე ააღელვა, რომ გონება დაკარგა და ბუჩქებთან უმწეოდ ჩაიკეცა.

ჭაღარათმიანმა მამაკაცმა პირადობის მოწმობა დააგდო და შვილიშვილებთან ერთად სწრაფი ნაბიჯით გონდაკარგულს გაშორდა...



ნომადი ბართაია

ცხოვრებას განვლილს რომ გავყურებ

ცხოვრებას განვლილს რომ
გავყურებ,
ხან ნისლიანს და ხანაც მზიანს,
გაოგნებული ვრჩები ხოლმე,
რამდენი შეცდომა დამიშვია.

უკან მიხედვის მეშინია,
როგორ მივლია მე ამ გზაზე,
ასაკში ვიყავ თუ უასაკო,
შეცდომას ვუშვებდი
შეცდომაზე.

ასეთი კერპი რამ გამხადა,
ვფიქრობ და ვეღარ გამიგია,
არავის რჩევა-დარიგება
არასდროს ყურად არ მიღია.

ნეტა, ვის ვედექი ასე ჯიბრში,
რატომ ვიყავი ასე ხელი.
ჩემი გამქონდა ყოველთვის და
ვიყავი ამით ბედნიერი.

წამში დავუშვებდი შეცდომას და
მერე სინანულით ვბრუვდებოდი.
მთელი ცხოვრება შეცდომების
გამოსწორებას ვუნდებოდი.

ცხოვრება მიდის ძველებურად,
მაგრამ ვერაფერში ვხედავ
ნუგეშს.
ვფიქრობ და ვეღარ გამიგია,
ამდენ შეცდომას რატომ
ვუშვებ...

მოდით და მოდით, შეცდომებო,
კვლავ არ მოხვიდეთ, ნუ ქნას
ღმერთმა.
რა კარგები ხართ, რომ იცოდეთ,
მოგროვილები ყველა ერთად.

***

აი, ძვირფასო, მოვედი რისთვის,
აი, ძვირფასო, რისი თქმა
მსურდა,
გიყვარდეს უნდა, არსებობს
რახან,
რახან არსებობს – გიყვარდეს
უნდა.

სიყვარულისთვის ერთია ყველა,
ვინ ხარ და რა ხარ, რა ხარ
და ვინ ხარ,
მე ისიც მიყვარს, მინახავს
ვინც არ,
ვინც არ მინახავს, მე ისიც
მიყვარს.

გაკვეთილები ასტრონომიის

არავინ იცის, ასტრონომიის
გაკვეთილები მიყვარდა როგორ.
არავის რომ არ ვუმხელდი ისე,
ასტრონომიის ვლოცავდი
მომგონს.

რა კარგი იყო, რა კარგი იყო,
როს გაკვეთილი ჩვენ გვქონდა
მთვარის,
მოსწავლეები მეათე კლასის,
როდესაც მთვარით ვიყავით
მთვრალი!..

ყველა ვარსკვლავი ვიცოდით
ცაზე,
პლანეტები ხომ ისეც ვიცოდით,
მოსწავლეები მეათე კლასის
ასტრონომიით როგორ
ვიწვოდით!..

კონსტანტინე გამსახურდიას

ახლა, ალბათ, ხანჯალს ლესავ,
ანდა, მახვილს წვერს უსინჯავ,
ანდა, იცვამ პერანგს ჯაჭვის,
შვენის რაინდს, ვით უშიშარს.

ანდა, იკრავ ღილებს ჩოხის,
ქამარ-ხანჯალს იკრავ ანდა.
ემზადები სადარბაზოდ,
ანდა, თამარ დედოფალთან.

ანდა, ბასიანის ველზე
ჰკაფავ ლაშქარს ურიცხვს
მტრისა,
ან ხარ ავად, საქართველოს
სულაც სიყვარული გჭირსა.

ანდა, ახლა წვერით კალმის
ჰქარგავ ანსა, ანდა ბანსა.
ანდა სვეტიცხოვლის ტაძრის
უვლი ირგვლივ გალავანსა.

ანდა, მეფე გიორგისთან
უზი ახლა ტაბლას მცირეს.
ანდა, ახლა მკლავი მოგჭრეს,
ანდა, ახლა დაგიჭირეს.

ანდა, ახლა გალობანის
შენ გაბრუებს სინანული.
ანდა, ახლა ხარ-ირემზე
სანადიროდ გიწევს გული.

ანდა, ახლა შენ გრიგალში
ზარს არისხებ განგაშისა,
ანდა, დარდი მოგწოლია
ქალის – კოლონკელიძისა.

ანდა, ვაჟი შეგძენია,
სახელს არქმევ იმას ზვიადს.
ანდა, იმის საფლავს ეძებ,
ვინც ზვარაკად გაგიზრდია...

ახლა, ალბათ, ხანჯალს ლესავ,
ანდა, მახვილს წვერს უსინჯავ,
ანდა, იცვამ პერანგს ჯაჭვის,
შვენის რაინდს, ვით უშიშარს.

ნუშები რიკოთის გზაზე

გამოპარულნი ჩანდნენ
სახლიდან
ცნობისმოყვარე ეგზომ
თვალებით,
რიკოთის გზაზე,
ჩუმათელეთთან,
ნუშები არასრულწოვანები.

იმერეთი

ო, ეს რა განცდა მეწვია,
გულს ეს რა ჩამეღვარაო,
ქვემო რომ ასე კარგი ხარ,
ზემო იქნები ან რაო!

ანდა, პირიქით (ო, შენმა
გამჩენმა გაიხარაო),
ზემო რომ ასე კარგი ხარ,
ქვემო იქნები ან რაო!

ეზეს

შენ ვარსკვლავი ხარ,
არაფერი
სხვა შენ არა ხარ.
შენც კარგად იცი,
გეუბნები
ამბავს არახალს.

ვინ იცის, შენებრ
რამდენია
ვარსკვლავი ცაზე,
რომ არც კი ჩანს და
არც ჩვენ ძალგვიძს
მათი დანახვა...

აი, ეს იყო,
თუ რამ იყო
სათქმელი ჩემი.
აი, ეს იყო,
ჩემო კარგო,
რაც უნდა მეთქვა.

შენ მზედ იქეცი,
უჩინარი
ვარსკვლავი ერთი,
მხოლოდ იმიტომ,
შორს კი არა –
ახლოს ხარ ჩვენთან.

***

ისე არაფერი ხდება,
თან აშკარად მიგრძნობს გული,
არის რაღაც ამ ფოთლებში
უსათუოდ ჩამალული.

მიგრძნობს კი არ,
ამ ფოთლებში, ამდენი რომ
ასე ყრია,
ჩამალული რომ არ იყოს
რამე – შეუძლებელია.

***

საგარეუბნო მატარებელო,
ვერ წარმოიდგენ, მიყვარხარ
როგორ,
მე ვენაცვალე, ვინც მოგიგონა,
მე ვენაცვალე, მართლა, შენს
მომგონს!

არ გამოტოვებ შენ არცერთ
სადგურს,
ყველას დაადი ვაგონზე
ასვლას.
საოცარია, ჩამოსულს შენგან
ცოტახანს არსად მინდება
წასვლა!

საგარეუბნო მატარებელო,
ვერ წარმოიდგენ, მიყვარხარ
როგორ,
მე ვენაცვალე, ვინც მოგიგონა,
მე ვენაცვალე, მართლა, შენს
მომგონს!

***

კმაყოფილი ვარ
დღევანდელი დღით,
კმაყოფილი ვარ
იმით, რაც არის...

სამსახურიდან
შინ მიმავალმა
ბავშვებს ვუყიდე
შვრიის ნამცხვარი.

იმ წლის შემოდგომის მთვარე

როგორ მახსოვს,
როგორ მახსოვს,
რომ ვერ ვაცილებდი თვალებს,
სკოლას როცა ვამთავრებდი,
იმ წლის შემოდგომის მთვარეს.

რამსიფართე იყო მაინც,
რა ქათქათა, რა ელვარე.
ცაც კი როგორ კრიალებდა,
ზღაპარს ჰგავდა არემარე.

იმ მთვარეს რომ ვუყურებდი,
გულს გაჰქონდა ბაგაბუგი.
ვისაც ის მთვარე უნახავს,
ალბათ მისი ყველას უკვირს..

როგორ მახსოვს,
როგორ მახსოვს,
რომ ვერ ვაცილებდი თვალებს,
სკოლას როცა ვამთავრებდი,
იმ წლის შემოდგომის მთვარეს.

***

თითქოს ამიტომ მოვსულვარ
ქვეყნად
სხვა არაფერი თითქოს და არ
მსურს –
ყველაფერს წარსულს რომ
ვაბარებდე,
რომ ვაბარებდე ყველაფერს
წარსულს.

თითქოს და ამით ვარ ბედნიერი,
ვარ ბედნიერი თითქოს და ამით;
არ ჩავაბარო რაიმე წარსულს –
ჩემს ცხოვრებაში არ გავა წამი.

რაშია საქმე, თან ვეღარ
ვხვდები,
მე მიფიქრია ამაზე ბევრი;
თანაც იბარებს ყველაფერს
ვიღაც
ო, მერე როგორ გაშლილი
ხელით!..

თითქოს ამიტომ მოვსულვარ
ქვეყნად
სხვა არაფერი თითქოს და არ
მსურს –
ყველაფერს წარსულს რომ
ვაბარებდე,
რომ ვაბარებდე ყველაფერს
წარსულს.

***

საიდუმლოს მე შენსას
გულო ჩემო, ვერ ვხვდები.
როგორ ხდება, მითხარი,
რომ არასდროს ბერდები.

ყველაფერი ხომ ირგვლივ
ბერდება და ბერდება.
საიდუმლოს კი შენსას
კაციშვილი ვერ ხვდება.

გეუბნები ამას შენ
განა სალაპარაკოდ, –
კი ბატონო, თუ გინდა,
არ დაბერდე არასდროს.

მოლაღურები

ვინ გაგაჩინათ კარგები ასე,
ან ვინ გაგითბოთ ასე გულები,
ან ვის წამოსცდა პირველად
სიტყვა
ასე ლამაზი – მოლაღურები.
შემოდგომაზე იცით მოფრენა,
როდესაც ლელვი იწყებს
მწიფობას
და არაფერი სჯობია მაშინ
ცის ცქერასა და სოფელში
ყოფნას.
ხმაცა გაქვთ რაღაც თავისებური
და გაიჭყივლებთ ხანდახან
კიდეც,
ხალხს ჩამოვიყვან თქვენს
სანახავად,
ჩემო კარგებო, თქვენ იზამთ
იმდენს.
ვინ გაგაჩინათ კარგები ასე,
ან ვინ გაგითბოთ ასე გულები,
ან ვის წამოსცდა
პირველად სიტყვა
ასე ლამაზი – მოლაღურები.

***

როცა ბაზარში ვყიდულობ
რამეს,
ვკითხულობ, სადაურია-მეთქი.
არაფერია იმაზე ტკბილი,
ვიღაცა მაშინ პასუხს რომ
მეტყვის.

მეღვრება სითბო მე მაშინ
გულში
და მე იმ სითბოს ვატარებ
დიდხანს.
მარტო რაიონს არ დავჯერდები,
აუცილებლად სოფელსაც
ვკითხავ.

თითქოს მე მაშინ ვპოულობ
ჩემ თავს,
თითქოს, მე მაშინ ვგებულობ
ვინ ვარ;
განა ბაზარში ნაყიდი რამე –
ოჯახში კითხვა-პასუხი მიმაქვს.

ბონდო არველაძე

„ახლა, როდესაც აღსდგა საქართველოს თავისუფლება, აუცილებელია შეგნებულად დაფარული წარსულის წარმოჩენა და საქართველოს ობიექტური მატიანის დაწერა უხსოვარი დროიდან დღემდე...“

ილია მეორე

გამოვიდა მიტროპოლიტ **ანანია ჯაფარიძის** ვრცელი მონოგრაფია „არიან ქართლი“ (საეპისკოპოსოები ისტორიულ ივერიაში). მონოგრაფია მრავალ პრობლემურ საკითხს მოიცავს და ამიტომ შემოვიფარგლებით რამდენიმე ძირითადის განხილვით. პირველ რიგში, საინტერესოა ავტორისეული სიტყვა **„ქართველის“** ეტიმოლოგია: – **„ქართველი“ – „არიან – ქართველთა“** შთამომავალს ნიშნავს. მას ეტიმოლოგიური კავშირი არა აქვს არც სიტყვა **„ქართლოსთან“** და არც სიტყვა **„ქართასთან“... ქართველი – ქალდუს ქვეყნის მცხოვრებს უნდა ნიშნავდეს (ქალდუ - ქალდუელი - ქართუელი“.** *(გვ.22).*

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე გამოთქვამს ვარაუდს – **„ქალდუს ქვეყანას ასევე ერქვა სახელი „არიანი“,** მის მცხოვრებთ კი **ქალდუელნი** ან **ქართუელნი,** შესაბამისად, არიანის ქვეყნიდან გამოსულ ხალხს ერქვა **„არიან ქართუელნი“** *(გვ.23).* შემდეგ მოტანილია მეცნიერთა მოსაზრებები, რომელნიც უშუალოდ ან ირიბად მაინც ამ თვალსაზრისს ადასტურებენ *(ივ. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა, ნ. ხაზარაძე* და სხვ).

მონოგრაფიაში წარმოდგენილია აგრეთვე **ქსენოფონტეს, სტრაბონის** ცნობები „არიან-ქართლის“ შესახებ და გამოტანილია დასკვნა – არიან-ქართლის სამეფო რეალურად არსებობდა და ის წარმოადგენდა **ხალიბების** (იგივე *ხალდების)* სახელმწიფოს, რომელმაც შეძლო დაახლოებით ძვ.წთ.აღ-ის **401-330** წლებში **ტაოხების, მაკრონების, ფასიანებისა** და სხვა ქართუელთა ტომების თავის ირგვლივ კონსოლიდაცია და ამის საფუძველზე სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

როგორც აღვნიშნეთ, მონოგრაფია მრავალ საკითხს მოიცავს. ერთ-ერთია წმინდა მამები – **ექვთიმე მთაწმინდელი, სტეფანე მტბევარი** და სხვანი სომხური ეკლესიის მძლავრობის შესახებ. ქართველი მეცნიერი ქართული, სომხური და სხვა წყაროების ანალიზის შედეგად, სრულიად მართებულად წერს: **„გასომხებისაგან თავის ერის დასაცავად იყო მიმართული სტეფანოზ მტბევარის, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების, გიორგი მცირეს, ღრტილის კრების მამების და სხვათა გამონათქვამები სომეხთა ეკლესიის „მტაცებლობის“ შესახებ, ყველანი ისინი აღნიშნული მხარეებიდან იყვნენ და კარგად იცოდნენ თავიანთი მხარეების ცხოვრება“** *(გვ.40).*

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ქართლის კათალიკოსის **კირიონ I**-ის **(591-615)** შეუპოვარი და თავდადებული ღვაწლი, ქართული და სომხური ეკლესიების გაყოფისათვის. მას მოღვაწეობა მოუხდა რთულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პერიოდში. ეს ის დროა, როცა ორი დიდი იმპერიის – ბიზანტიისა და სპარსეთის ცილობის საგნად იყო ქცეული ქართლი და სომხეთი, მათი მძლავრობა ამ ორი პატარა ქვეყნის მიმართ დამთავრდა იმით, რომ ბიზანტიამ თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია ქართლი, სპარსეთმა – სომხეთი. დამორჩილება რელიგიურ ფაქტორსაც გულისხმობდა. სპარსეთმა სომხეთის მონოფიზიტობა დაუპირისპირა ქართველთა დიოფიზიტობას. ასეთი მწვავე პოლიტიკური და რელიგიური ბრძოლის ვითარებაში კათალიკოსმა **კირიონ I-მა** გამოიჩნა პოლიტიკური ალღო, შორსმჭვრეტელობა, ეროვნული სიფხიზლე და ქართული ეკლესია განარიდა სომხურისას. ამით ქართველი ერი სომხური ეკლესიის მძლავრობისაგან იხსნა. იგი ქართველი ერის ღირსეული შვილია. მისი ეროვნულობა იმდენად მკვეთრად გამორჩეულია, რომ ცნობილი სომეხი ისტორიკოსი აკად. **ლეო ბაბახანიანი** თვალს ვერ ხუჭავს მის ეროვნულ ღვაწლზე და იძულებულია თქვას: – **„კირიონ I-მა დაწყებული საქმე** *(ქალკედონიის კრების გადაწყვეტილების განუხრელი გატარება და ერთგულება ბ.ა.)* **ბრწყინვალედ დაასრულა და უფლება მოიპოვა მას ეწოდოს ქართველი ხალხის ერთგული შვილი“.**

სომხური მონოფიზიტობა (გრიგორიანობა მოგვიანებით – 1836 წელს ეწოდა), რომელიც კონსერვა-

ტიული ბუნებით ხასიათდებოდა, ვერ გუობდა ტოლერანტობას. აქედან გამომდინარე, შემტევი და აგრესიული ხასიათის იყო და არც თუ სანაქებო ხერხებით ცდილობდა უცხო ერის შვილთა ჯერ მონოფიზიტობაზე გადაყვანას, მერე კი მათ არმენიზირებას. წინ აღარაფერი ედგა, რადგან მონოფიზიტობას და ეროვნულობას ერთ სიბრტყეზე განიხილავდა. არ არის ძნელი მისახვედრი, რა უდიდეს საფრთხეს განარიდა ქართველი ერი კათალიკოსმა კირიონ I-მა. მან თავისი ხალხი მტკიცედ წაიყვანა მართლმადიდებლობის – დიოფიზიტობის გზით: **„საუკუნეთა მანძილზე კულტურულ-პოლიტიკური შეხლა-შემოხლის და დუღილის შედეგად, ძველი კულტურის მქონებელმა ქართველმა ხალხმა ამ კოსმოპოლიტურ რელიგიას** *(იგულისხმება ქრისტიანობა ბ.ა.)* **ქართული ელფერი მისცა და „ქართველი“ ახლო აღმოსავლეთში სომხურისა და ბერძნული ქრისტიანობისაგან განსხვავებული (ენით) რელიგიის აღმნიშვნელ ცნებად იქცა. ეს იყო ქრისტიანობის ინდივიდუალიზაცია ქართველი ხალხის მიერ სომხებისა და ბერძნების გვერდით, ეს იყო დიდი კულტურული გამარჯვება, დიდი კულტურული ძალის მოწმობა**

და ქართული ქრისტიანობის გავრცელება. ეს იყო ქართული კულტურის უცილობელი გამარჯვების აშკარა მოწმობა (ქართული ქრისტიანობით შეცვლა დასავლეთ საქართველოში ბერძნული ქრისტიანობისა კმარა ამის ნიშნად). ეს იყო დიდი ეროვნული საქმე“ – წერს *აკად. ნ. ბერძენიშვილი.*

ქართული ქრისტიანობის ეროვნული ნიშნით ქმნადობის და პირველი კალაპოტის დამდებია კათალიკოს **კირიონ I მცხეთელი.** ეს გახდა საფუძველი **გიორგი მთაწმინდელს** XI ს-ში ამაყად ეთქვა: **„რაჟამს ერთგზის გვიცნობიეს** *(დიოფიზიტობა ბ.ა.)* **არღარა მიდრეკილ ვართ მარცხულ განა მარჯულ და არცა მოვედრიკებით, თუ ღმერთს უნდესო“.**

აკად. კ. კეკელიძე ხაზგასმით აღნიშნავდა: **„კირიონ I – კათალიკოსი დიდი პატრიოტია, რომელიც მედგრად იცავს სამშობლოს ინტერესებს სომხეთთან კამათის და ცილობის პროცესში“.**

კირიონ I-ის ნებისყოფით, ენერგიით და განსაკუთრებული ეროვნული შემართებით აღტაცებულ **ექვთიმე მართალს** ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: **„კირიონ I-ი რომ არა, ჩვენ ნამდვილად გავსომხდებოდით. დიდი საქმე ქმნა ეროვნული თვალსაზრისით, ნამეტანი გონიერი, მაგარი და გამჭრიახი კაცი ყოფილა, როგორც ჩანს, ჩვენ მას ძეგლი უნდა დავუდგათ“...** იცოდა, რას ამბობდა წმ. ექვთიმე, – *მართლაც დაამშვენებდა თბილისს ქართლის კათალიკოსის კირიონ I-მცხეთელის ძეგლი!..*

მოვიდეთ პირველსავე სიტყვას: მიტროპოლიტ **ანანია ჯაფარიძეს** განხილული აქვს ე.წ. სომეხ ქალკედონელთა ვინაობა-წარმომავლობის საკითხი. ეს სახელწოდება – სომეხი ქალკედონელები პირველად გამოიყენა **ნ. მარმა „Аркаун Монгольское название християн в связи с вопросав об Армянах – халкидон- итахи“** (1906). ამ ნაშრომში ტაო-კლარჯეთის ქართველები მიჩნეულია **„სომეხ ქალკედონელებად“.** ეს აიტაცეს სომეხმა მეცნიერებმა – **ვ. არუთინოვამ, ფიდანიანმა რ. ბარტიკიანმა, ა. მურადიანმა** და სხვებმა.

აი, ეს ნ. მარისეული მცდარი „თეორია“ კრიტიკულად არის განხილული კრებულში და გამოტანილია საფუძვლიანი დასკვნა – **„ივერების სომეხ-ქალკედონელებად გამოცხადება შეცდომაა, რომლის გამოსწორებაზე უნდა იზრუნოს ქართულმა ისტორიოგრაფიამ, რომელიც ამჟამად „ქართაზაციის თეორიას“ ემხრობა, რაც მისი დაბრკოლების ლოდია“** *(გვ. 229).*

მართლაც, დროა გავნთავისუფლდეთ ხელოვნურად მოგონილი „ქართიზაციის“, შეიძლება ითქვას, მავნე თეორიისაგან, რადგან ქართველი ხალხის არაკეთილმოსურნენი მას ქართველი ერის ისტორიისა და ეროვნული მეობის გაყალბებისათვის იყენებენ. ეს კი, ჩვენ დროში, – საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებში, – დაუშვებელია.

კრებულში წარმოდგენილი თავებიდან გამოვყოფ მეცხრე თავს – **„ქართული წარმოშობის იერარქი არმენიის იბერიაში“** *(გვ. 255-262):*

კათალიკოს **ნერსე იშხნელის** შესახებ მოტანილია სხვადასხვა ავტორთა ცნობები. „დავითისა და ტირიჯანის“ ავტორის (VIIს.) ცნობა – **„იყო სანახებთა მათ სოფლისა სომხითისასა, ჟამთა ნეტარისა დიდისა ნერსე კათალიკოზისა, ... ხევსა ბასიანისასა, დაბასა ონკომ“.**

ვალაშკერტში ნერსე სომეხთა კათალიკოსმა ააგო ღვთისმშობლის ეკლესია. ძველი სომეხი ისტორიკოსის ცნობით, აქ, X ს-ში, **„იჯდა ქართველი ეპისკოპოსი“** *(ნ. ადონცი, „არმენია იუსტიანეს ეპოქაში“, გვ. 24).*

არიან-ქართლი

არსენ საფარლი გვამცნობს: **„ეზრას შემდგომ საკათალიკოსო ტახტზე ღვთის ნებით ავიდა ნერსე იშხნელი. კაცი ღირსი და მართლმორწმუნე“.**

გიორგი მერჩულე: **„ნებითა ღვთისათა იქმნა საბა ეპისკოპოს იშხანსა ზედა, ნეტარისა ნერსე კათალიკოზისა აღშენებულისა კათოლიკე ეკლესიისა და საყდრისა მისისა, წელიწადთა მრავალთა დაქვრივებულ იყო“.**

როგორც მეუფე ანანია აღნიშნავს – ქართული წყაროები ნერსეს უწოდებენ - **„წმინდას“, „ნეტარს“, „ღირსს“.** აქვე დავამატებთ – ნერსე კათალიკოსს სომხური წყაროები **„შინოღ“**-ს (მშენებელს) უწოდებენ.

ნერსე კათალიკოსს, ქალკედონიტობის გამო, სომეხი სასულიერო პირები დევნიდნენ. ერთხანს ნერსემ თავი ტაოს შეაფარა, სადაც მისი დამცველები იყვნენ ტაოელი ქართველები. ექვსწლიანი დევნის შემდეგ, ქართველების და იმპერატორის შეწევნით, ნერსე სომხეთის საპატრიარქოს ტახტზე ისევ ავიდა და დაამთავრა ზვართნოცის ქალკედონიტური ტაძრის მშენებლობა, რომლის კურთხევას ბიზანტიის იმპერატორიც დასწრებია.

მეუფე ანანია მართებულად აღნიშნავს – კათალიკოს ნერსეს მარტო ზვართნოცის ტაძარი კი არ აუშენებია, არამედ იშხნის (VII ს.) მრგვალი ტაძარიც მას აუგია.

საყურადღებოა – სომხურ-ქალკედონური ეკლესიის ქართული ფრთის საკითხი, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, ქართველები სომხეთში. სომხური ეკლესიის დაარსების შემდეგ სომხეთის მკვიდრი ქართველობა, მკვიდრი იმიტომ, რომ ქართველობა აბორიგენები იყვნენ, ხოლო სომხები, გვიან, VI ს- ში, ჩ.წ.აღ-მდე, მოვიდნენ აქ, როცა ურარტუს სამეფო დაეცა... სომხეთის მკვიდრი ქართველობა გადაიქცა სომხური ეკლესიის მრევლად. მაგრამ მათ ქართული ეთნოშემეცნება შენარჩუნებული ჰქონდათ, განსაკუთრებით სომხეთის ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილებში. როგორც ნაშრომშია აღნიშნული, სომხეთში მრავალი სომხურ-ქალკედონური საეპისკოპოსოები იყო (70-ზე მეტი). ეს საეპისკოპოსოები გაშლილი იყო ვანისა და ურმიის ტბიდან ტრაპეზუნამდე და ანტიოქიამდე. ამ სომხურ-ქალკედონური საეპისკოპოსოების მნიშვნელოვან ნაწილს ქართველები შეადგენდნენ. **„ქართველი მოღვაწეების თავიანთი განსწავლულობისა და შრომისმოყვარეობის გამო, სომხური ეკლესიის უმაღლესი იერარქებიც ხვდებოდნენ. ჰერაკლე კეისრამდე ასეთი იყო არარატის ქორეპისკოპოსი, შემდეგ კი ქართლის – კათალიკოსი კირიონ I, ასევე ეთნიკური ქართველი უნდა ყოფილიყო სომეხი-ქალკედონიტი კათალიკოსი ნერსეს III-მშენებელი. მან სომეხთაგან დევნილობის დროს** *(მას სომხები სდევნიდნენ იმიტომ, რომ იყო ქალკედონიტი ბ.ა.)* **თავი შეაფარა თავის მშობლიურ კუთხეს – ტაოს, სადაც საეპისკოპოსო დააარსა იშხანში „სომხურ - ქალკედონური ეკლესიის ეთნიკური ქართული ფრთა მისი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო“** *(გვ. 232) – წერს მეუფე ანანია.*

ვფიქრობთ, საგულისხმო და მნიშვნელოვანი დასკვნაა.

მეუფე ანანია რამდენიმე ათეული წელია თავგამოდებით ამტკიცებს, რომ დასავლეთ საქართველო არასდროს ყოფილა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში. ნაშრომშიც ამ თვალსაზრისს ავითარებს და წერს: **„თუკი დასავლეთ საქართველო იყო ბიზანტიის იურისდიქციაში და ის ბიზანტიური იურისდიქციისაგან ნიკოლოზ მისტიკოსის ეპოქაში (IX-X ს.ს-ში) გამოვიდა (როგორც ამტკიცებს ქართიზაციის თეორია), მაშინ კონსტანტინოპოლის პატრიარქი** (იგულისხმება ნიკოლოზ მისტიკოსი ბ.ა.) **სომხური ეკლესიის მეთაურს იმას კი არ მისწერდა – „შენი დარიგება ისმინოს აფხაზთა მეფემო“, არამედ, ალბათ, მიწერდა: – „ჩემი საეკლესიო მიწა-წყალია დასავლეთი საქართველო და აფხაზთა მეფემ ჩემი უფლებამოსილება არ უნდა შებღალოსო... ამ წერილიდან ჩანს, დასავლეთ საქართველო არასოდეს ყოფილა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში“** *(გვ. 423)* დაასკვნის ავტორი.

ამ ვრცელი მოცულობის წიგნში კიდევ არაერთი საკითხია წამოყენებული, რომელიც ან გადაჭრილია, ან ახლებური კუთხით არის გაშუქებული. ამათგან შეიძლება აღინიშნოს: **„ჰაიასა“ – „აიას ქვეყანა“** *(შემდგომ კოლხიდა),* ურარტუ-ქალდეველთა ქვეყანა, ურარტუს „ღმერთი“ – ქალდი და ქართლის არმაზი, „არიან ქართლის“ ცენტრალური ოლქის (შემდგომ არარატის) არმენიზაცია და სხვ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: წიგნში გამოკვლეულია, რომ არაქსის ხეობასა და ტაო-ბასიანის, მომცველი იბერიის თემის ტერიტორია ჩ.წ.აღ-მდე IV-III საუკუნეებში იწოდებოდა „არიან-ქართლად“ და აქ ქართველები (ივერები) ყოველთვის მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენდნენ. აქ მათ დააფუძნეს მრავალი ქართული საეპისკოპოსო – ვალაშკერტისა, არზრუმისა, კარისა, ანისისა და სხვ. ამათგან, ზოგიერთი XVI-XVII საუკუნეებში ფუნქციონირებდა.

ამრიგად, მეუფე ანანია ჯაფარიძის თვალსაზრისით ივერების სომეხ-ქალკედონიტებად გამოცხადება შეცდომაა. ეს შეცდომა დროზე უნდა გამოასწოროს ქართულმა ისტორიოგრაფიამ, რომელიც ამჟამად „ქართიზაციის“ ყალბი თეორიისთვის თავი ვერ დაუღწევია.

ვფიქრობთ, მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის „არიან-ქართლი“, კიდევ ერთი დიდი შენაძენია ქართული ისტორიოგრაფიისთვის, მისი მეცნიერული ღირსება ისიც არის, რომ ბევრ საჭირბოროტო კითხვაზე გაცემულია პასუხი, მაგრამ საკამათო საკითხებიც არის მასში წამოჭრილი, რაც ამ ნაშრომს უფრო საინტერესოს ხდის.

„მესხური ფოლკლორის“ წარდგინება

(რეპორტაჟი)

14 დეკემბერს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში „მესხური ფოლკლორის“ წარდგინება გაიმართა. 915-გვერდიანი კაპიტალური ნაშრომის მასალის შემგროვებელი, წიგნის შემდგენელ-გამომცემელი და რედაქტორი ბ-ნი **ავთანდილ ბერიძე** მრავალი წელია მესხეთ-ჯავახეთში ქართული კულტურის აღორძინების მძიმე ჭაპანს ეწევა. მისი დაუღალავი მოღვაწეობის მეოხებით ამ ურთულეს რეგიონში ინტენსიურად გამოდის ქართულენოვანი გაზეთი – „ლიტერატურული მესხეთი“, რომელშიც მთელ რიგ საჭირბოროტო საკითხთა განხილვის კვალდაკვალ, მესხეთის თემატიკას წამყვანი ადგილი უკავია.

წიგნის გამომცემლისა და რედაქტორის მოკლე, თუმცა ტევადი წინასიტყვაობა შოთა რუსთაველის მრავალტანჯული კუთხის ტრაგიკულ ხვედრს საქართველოს რთულ გეოპოლიტიკურ კონტექსტში გაიაზრებს და ამ ანგარიშგასაწევი ფაქტორის გათვალისწინებით მესხეთის ქარტეხილებს ისტორიულ სპექტრში წარმოაჩენს. ამის თვალსაჩინო მაგალითია ცნობილი აშუღი შივღა (ლუკა ბერიძე) ძნელბედობის ჟამს თავის შემოქმედებას თურქულ ენაზე რომ ქმნიდა, რაც ოდესღაც კულტურის აკვნად მიჩნეული მესხეთის უწყვეტი რბევა-აწიოკებისა და კულტურული ექსპანსიის ხანგრძლივობის სავალალო შედეგია. პროექტის ავტორის გულისტკივილს მადლიერების გრძნობა სხივად გასდევს, იგი ამ კუთხის ზეპირსიტყვიერების ნიმუშებით დაინტერესებულ სახელოვან მეცნიერებთან ერთად უბრალო ადამიანებსაც ჩამოთვლის, ვინც იმ სიცარიელის ამოსავსებად იღვწოდა, რათა ქართულ სააზროვნო სივრცეს ძალადობრივად მოწყვეტილ მესხურ ფოლკლორს იზოლაციის რკალი გაერღვია და კუთვნილი ადგილი სრულფასოვნად დაეჭირა. წიგნის რედაქტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან დიდ ეროვნულ საქმეს დაადგა თავი და მესხური ფოლკლორის სახით ქართულ ზეპირსიტყვიერებას მანამდე უცნობი და უაღრესად საყურადღებო მასალა შემოამატა. წიგნში დახარისხებულ პოეტურ ნიმუშებს (მეორე ტომში მესხური თქმულებები ზღაპრები, წეს-ჩვეულებები, ანდაზები, გამოთქმები, გამოცანები და თამაშები გამოქვეყნდება) უნიკალური ფოტოსურათების სერია დაუვიწყარ მნიშვნელობას სძენს, – ეთნოგრაფიული შტრიხების მეშვეობით ის დაკარგულ-მივიწყებული კოლორიტი ცოცხლდება, რითაც თითოეული კუთხის მკვიდრი თანამოძმისგან განირჩევა და, ამავდროულად, მრავალფეროვან ინდივიდუალობას ბუნებრივად ერწყმის. თემატური მრავალწახნაგოვნება ნაშრომისადმი გაუნელებელ ინტერესს იწვევს, თუნდაც, უახლესი კაფია რომ დავასახელოთ, სადაც არც მეტი და არც ნაკლები, ვლადიმერ პუტინი მის მიერ გატარებული პოლიტიკური კურსის შესაბამისადაა დახასიათებული. ცალკე საკითხია ეს რთული თემა წარდგინებაზე დამსწრე საზოგადოების გულის მოსაგებად სიტყვით გამოსულმა მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარემ, ქ-მა **მაყვალა გონაშვილმა** საქილიკოდ რომ აქცია, რაც ამ სერიოზული ღონისძიების შეუფერებელ სიგნალად გაისმა. აქვე აღვნიშნავ, წარდგინებას თავად ბ-ნი **ავთანდილ ბერიძე** უძღვებოდა (შესავალი სიტყვით გამოვიდა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, პროექტის კურატორი **ალექსანდრე გრიგალაშვილი)** და დროდადრო გამომსვლელთა მჭევრმეტყველებით დაღლილი დარბაზის განსამუხტად ფოლკლორულ ნიმუშებს ოსტატურად არჩევდა. საქმიან ატმოსფეროს გულითადი მილოცვები პროტოკოლურ სიმშრალის საფრთხეს უქარწყლებდა. **აშუღ შივღას** ოცნება (იგი 1906 წელს გარდაიცვალა) მისი ძმის შვილიშვილის, ქ-ნ **ცარო ლომსაძის** მეშვეობით ახდა; მან წინაპრის დაკარგულ საფლავზე იზრუნა. ძნელია აუღელვებლად მოუსმინო პიროვნებას, ვინც შთამომავლობის ვალს პირნათლად მოიხდის და წინაპრის ხსოვნას საკადრის პატივს მიაგებს. ცნობილი მთარგმნელი **ზეზვა მედულაშვილი** თარგმანების კითხვის პარალელურად ყოველთვის ახერხებს საკუთარი სათქმელი ორიგინალურად გამოხატოს, მას არც **ერეკლე საღლიანი** ჩამორჩა, რომლის გამორჩეული სიტყვა მსმენელის გულისგულში აღწევს და ფიქრთან ერთად მანამდე გაუშუქებელი საკითხის შემეცნების წადილს უღვივებს. ღვაწლმოსილი მწერლისა და არმენოლოგის, ბ-ნი **ბონდო არველაძის** შეუპოვარი ბრძოლა ქართული ეკლესიების დასაცავად დიდი ხანია მასშტაბურად მიმდინარეობს, იგი მესხურ თემატიკაზე მსჯელობისას ადგილობრივი მოსახლეობისა და ხიზნების უთიერთობის ისტორიულ ექსკურსს ჩაუღრმავდა, მთელი რიგი გარემოებები სწორედ ამ კონტექსტში წარმოაჩინა, ეს ხაზი გააგრძელა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის პროფესორმა **თინა იველაშვილმა**, რომლის საყურადღებო ნაშრომები მწვავე საკითხების გაბედული ანალიზითაა გამორჩეული. წლების წინ ქ-ნი თინა იეღოვას სექტის საქმიანობის შესახებ (მან ამ სახელწოდების წიგნი გამოსცა) საპატრიარქოს რადიოში სასაუბროდ მოვიწვიე, თუმცა, რატომღაც, ეს უაღრესად მნიშვნელოვანი დიალოგი ეთერში არ გავიდა (მკითხველმა დასკვნა თავად გამოიტანოს!). მისასალმებელია, რომ იგი ბ-ნ ბონდოსთან ერთად მწვავე თემატიკას მიუკერძოებლად აშუქებს და ამ მიმართულებით ენერგიულად იღვწის. ქ-მა თინამ ერთ-ერთი საკავშირო კონფერენცია გაიხსენა, სადაც სიტყვით გამომსვლელები მოხსენებებს რუსულად კითხულობდნენ, **არსენ კარაპეტიანმა** (იგი ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი გახლდათ, ამავდროულად მთარგმნელი, წიგნში კარაპეტიანის მიერ გადმოქართულებული პოეტური ნიმუშებია შეტანილი) განრიგი დაარღვია და საკუთარი ნაშრომი ქართულად წაიკითხა. ეს საპროტესტო საქციელი მოწმობს ამ პიროვნებას ქართული კულტურა რაოდენ შეესისხლხორცებინა და შეეთვისებინა, რაც ერთა შორის ურთიერთპატივისცემის მისაბაძ პრეცენდენტს ქმნის. სახელოვანმა მხატვარმა **რეზო-ემელიანე ადამიამ** ბ-ნ ავთანდილს ესოდენ მნიშვნელოვანი ნაშრომის გამოცემისთვის თავისი ფერწერული სურათი „გალაკტიონი და კოსმოსი“ უსახსოვრა, რამაც შეხვედრას განსაკუთრებული ლაზათი შესძინა. პოეტმა **რამაზ ბერაძემ,** რომელიც გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედკოლეგიის წევრია და მესხეთში გამართულ ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობს, საზოგადოებას მესხური ფოლკლორის პოპულარიზაცია მიულოცა. მწერალმა **ჯემალ მეხრიშვილმა,** რომელსაც დაცვა სიაში არყოფნის გამო შენობაში არ უშვებდა (გამკაცრებული დაცვის ქმედება ცალკე საკითხია და აქ ამაზე აღარ შევჩერდებით) ბ-ნი ავთანდილ ბერიძის გაცნობა (მისი ძმის სტუდენტობისდროინდელი მეგობარი აღმოჩნდა) და მისთვის დამახასიათებელი პასუხისმგებლობის მომადლებული უნარი გაიხსენა, რაც ადამიანის არჩევანს თავიდანვე განსაზღვრავს. პუბლიცისტებმა **გოგიტა მელიქიძემ. ლევან გვეტაძემ, ბელა ალანიამ** (ქ-მა ბელამ წიგნის რედაქტორს საჩუქრად ლომის ქანდაკება გადასცა), აგრეთვე ფოლკლორისტმა **ქეთევან სიხარულიძემ,** ცნობილმა მეცნიერმა და მკვლევარმა **გრეტა ჩანტლაძემ** მესხური ფოლკლორის სამომავლო პერსპექტივებზე გაამახვილეს ყურადღება. ამაგდარმა მწერალმა, მთარგმნელმა და გამომცემელმა **აკაკი ბრეგაძემ** კოლეგას ღირებული იდეის ხორცშესხმა მიულოცა. თქვენს მონა-მორჩილს რაც შეეხება, ბ-ნი ავთანდილის ღვაწლის წარმოჩენისას არც ის გარემოება დარჩენია შეუმჩნეველი, რომ კულტურის სამინისტრომ, რომელიც ეროვნული პროექტების ხელშეწყობით ჯეროვნად არ გახლავთ დაინტერესებული, ამჯერად ნავსი გატეხა და მნიშვნელოვანი კაპიტალური წიგნი წილობითად (ე.ი. ნაწილობრივ მაინც) დააფინანსა. ჩემდა გასაკვირად, გულახდილი მოსაზრების გაჟღერებისას კოლეგის ტაშიც დავიმსახურე (დალი ყარაულაშვილის მხრიდან), რაც მოწმობს, რომ ჯობია ესა თუ ის ადამიანი თუ დაწესებულება საკუთარ მოედანზე გააკრიტიკო, ვიდრე კულისებში განაქიქო და აქტუალური კითხვების დასმისა თუ საკუთარი პოზიციის მიჩქმალვით ორმაგი სტანდარტით დადაღულ ხელოვანებს უფერულად შეერწყა. ღონისძიების დასასრულს წიგნის რედაქტორმა გულითადი მადლიერება იმ ქველმოქმედი ქ-ის, **ლიანა მანჩხაშვილის** (იგი სიტყვაშიც გამოვიდა) მისამართითაც არ დაიშურა, რომელიც წლებია „ლიტერატურულ მესხეთს“ ერთგულად უდგას მხარში და ბ-ნი ავთანდილ ბერიძის არაერთ სასიკეთო წამოწყებას ზურგს საიმედოდ უმაგრებს. ფულის დიქტატურის პირობებში ესოდენ ჰუმანური და შეგნებული პიროვნებები ქმნიან პრეცენდენტს, რომლის ძალისხმევითაც ეროვნული კულტურის სადინარი არასდროს დაიშრიტება!

იკა ქადაგიძე

ცნობისათვის: წიგნის – „მესხური ფოლკლორის“ შეძენა შეგიძლიათ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში – წიგნის მაღაზიებსა და პრესის გავრცელების ჯიხურებში, ასევე გაზეთის რედაქციაში. რეგიონის გარეთ წიგნის შეძენის მსურველებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ: 5 99 97 95 24.

საიუბილეო მილოცვა ქალბატონ ეთერ ზარიძეს!

ეთერ ზარიძე ჩვენი დღევანდელი მწერლობის ნათელი სახეა. მან თავად შექმნა თავისი ინდივიდუალური სახე. იგი შედგა, როგორც კდემამოსილი, ზნეკეთილი ქართველი ქალი: დედა, ბებია, მეუღლე და დიდი მეოჯახე. პატივს ვცემ და მიხარია მისი არსებობა და მოღვაწეობა ჩვენს გვერდით, – როგორც პოეტისა და მთარგმნელის. ასეთმა ქალებმა მოიყვანეს დღემდე საქართველო, მისი სიტყვა ამოღებული ხმალია და საერო ზარია ჩვენი ხალხის მარად საფხიზლებელი და შესაგონებელი.

ეთერმა კავკასიონის სურნელი შემოიტანა ქართულ მწერლობაში, რასაც თან ახლავს თავისივე სულისა და გულის მგზნებარება, რაც მის პიროვნულ ღირსებაზე მეტყველებს.

ვერავითარი ჯილდო და დიდებულება ვერ მივა იმ ადამიანურ ღირებულებებთან, რომელიც ეთერის ბუნებაშია და მისი შეურყეველი ფესვებიდან მოდის, როგორც ხვალინდელი დღის იმედი და სიმტკიცე. მის სახეზე მე ვხედავ ივერიის ტურფა ასულს, დედას და დას... უძველესი საყდრის ჩამოშლილ ნატიფ ქვას და საქართველოს ბუმბერაზ მთებს, რომელიც ცხოვრებაში ჯვარსა და სანთელს გამოსახავს. ჯვარს – ჰორიზონტალს: გულით ადამიანებისკენ და... ჯვარს ვერტიკალს: სულით ზენაარისკენ მიმავალს. ქალი, რომელიც საწყისიდან სასრულისკენ თანდათანობით მაღლდება, სულით კი არ ეცემა. დინჯი ნებით ზომავს ყოველ ნაბიჯს. არასოდეს დავიწყნია, კაცთა მოდგმის რომ არის და უფლისგან ბოძებულ მადლს – გონიერებას მოყვასისთვის იყენებს... სისხლხორცეულად გაუთავისებია სიტყვები: „წინ მარადიულობაა“, რომ ჩვენ, ყველანი, ყველასა და ყოველივეში ვართ გაბნეულნი...

გენიალური შემოქმედის გრიგოლ რობაქიძის აზრით (რომელსაც ჩემებური ახსნა მოვუნახე), ქართველი ქალი, როგორც ქართული მიწა – სრულყოფილი მშვენიერებაა, – სამშობლოსგან არაფრის მთხოვნელი და მისი უანგარო მსახური. ბატონ გრიგოლს არა მარტო სიცოცხლეში, გარდაცვალების შემდგომაც ქართველი ქალის – დედის (როგორც მშობლიური საირმის მთების) იმედი ჰქონდა სამშობლოში სიკვდილ-სიცოცხლით დასაბრუნებლად. ჭეშმარიტად გაუმართლა მას, სწორედ ეთერ ზარიძის მსგავსი ქართველი ქალები უსრულებენ უკანასკნელ თხოვნა-ანდერძს და ამორძალური კდემამოსილებით და შემართებით ამაგრებენ მისი სათაყვანებელი მამულის საძირკველს. ეთერ ზარიძის პოეზიაც სწორედ გრიგოლ რობაქიძის პირუთვნელ სიტყვებს მაგონებს: „ჩვენ დღესაც ვერავის დავუთმობთ პოეზიის პოზიციებს, რადგან მწერლები ყველაზე კარგად ვგრძნობთ ცხოვრების შეცვლას“...

ქალბატონი ეთერი თიანეთის რიხიანმა მთებმა წარმოშვა და, მათი უდრეკი კდემით აღზრდილი იმერეთის – ხარაგაულის პატარძალი გახდა. მისმა პოეტურმა შთაგონებამ უფრო ფართოდ გაშალა ფრთები. იმერეთის თბილმა მიწა-ბუნებამ და ხალხმა, როგორც საკუთარი შვილი, იმდაგვარი სითბოთი გულში ჩაიკრა და შეიყვარა. ახლაც, ხანდაზმულ ასაკშიც, არ მალავს აღფრთოვანებას იმერული ზნე-ჩვეულებათა მიმართ... იგი, დღესაც, მეუღლის გარდაცვალების შემდეგაც, საყვარელი რძალია ხარაგაულის რაიონისა, რაც მის ადამიანურ ხასიათზე მეტყველებს. შორიდან დაგინახავს, წამოდგება და გაფიქრებინებს, რომ თავად არის იგი დიდი ქალბატონი, რომელიც დიდებულად აზროვნებს და თავისი უბრალოებით ყველასათვის მისაბაძი ხდება. თამამად შეიძლია ვთქვა, რომ ქალბატონი ეთერის მსგავსი ზნეობის მატარებელი ქალები, თავიანთი შემოქმედებით, ჩვენი ხვალინდელი დღის იმედნი არიან.

ქალბატონო ეთერი, ვსარგებლობ რა შემთხვევით, გილოცავთ იმ მაღალ დამსახურებულ ჯილდოს, რომელსაც ანა კალანდაძის სახელობის პრემია ჰქვია. გისურვებთ ჯანმრთელ, ხანგრძლივ სიცოცხლეს... მაგრამ, მე მაინც დავძენ: არავითარი ჯილდო იმ ღირებულებებზე მაღლა არ დგას, რაც შენს ადამიანურ ზნეობა- ქმედებებშია და რაც ასე ძალუმად ხმიანებს შენს შვილ-მომავალში.

მრავალჟამიერ, შენს სიცოცხლეს!..

იამზე არველაძე-ხეცურიანი

„ვარსკვლავმორბედი“

იკა ქადაგიძის რელიგიურ-ფილოსოფიური რომანი

იკა ქადაგიძის სახელი უკვე კარგად არის ცნობილი ქართველი მკითხველისათვის. იგი უფრო ცნობილი იყო, როგორც საკუთარი ხმის მქონე პოეტი და ერუდირებული მეცნიერი, მაგრამ, ამჯერად, კიდევ ერთხელ გაგვახარა და გაგვაოცა თავისი რიგით მეორე რომანით: „ვარსკვლავმორბედი“. ეს რომანი ერთობ საინტერესო განაცხადია. იგი წარმოადგენს ელიტარული პროზის ნიმუშს, რადგან მის სიღრმეებს და დედააზრს ვერ ჩაწვდება გაუნათლებელი, რელიგიასა და ლიტერატურაში გაუთვითცნობიერებელი მკითხველი. იმისათვის, რომ ეს რომანი გაიგოს და სათანადოდ შეაფასოს, მკითხველი კარგად უნდა იცნობდეს ბიბლიურ (სახარებისეულ) და ანტიკურ მითოსს – კერძოდ, მითებს ქრისტეს მიერ მოხდენილ სასწაულებზე და არგონავტების, მედეას მითს. წიგნი ერთი ამოსუნთქვით იკითხება. ჩვენ თვალწინ გაიელვებენ ქრისტეს მიერ სასწაულებრივად მკვდრეთით აღდგენილი ლაზარეს თავგადასავლები, მარიამის და მართას, მარიამ მაგდალინელის, სალომეას სახეები. მედეა, რომლის ტრაგიკული ბედიც არაერთგზისაა აღწერილი სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურაში.

უნდა ითქვას, რომ იკა ქადაგიძემ შესანიშნავად გაართვა თავი მედეას თემას. ის ფაქტი, რომ მედეა თავისი შვილების მკვლელი არ არის და მას ბერძენმა მოწინააღმდეგეებმა დაუხოცეს შვილები, ამ თემის სნორ გადაწყვეტას წარმოადგენს. მედეას სახე რთული სახეა და ამ სახით იკა ქადაგიძემ დაგვიხატა უბედური დედის და მეუღლის, სამშობლოდაკარგული ქალის სახე, რომელიც ღრმა რწმენაში ჰპოვებს სულიერ სიმშვიდეს.

შთამბეჭდავად, ღრმა გრძნობით არის აღწერილი იესო ქრისტეს ჯვარცმის სურათი. საინტერესოდ არის გააზრებული იუდას სახეც, იუდასი რომელმაც ლეღვის ხეზე ჩამოიხრჩო თავი. „თვითმკვლელობას ქრისტიანობა კრძალავს, მაგრამ იუდა როდის იყო ქრისტიანი! საკუთარი სიკვდილი როგორც მოესურვა, ისე დაგეგმა, რის გამოც უდიდეს პატივს ვცემ. იუდა არავის სათამაშოდ არ თვლიდა თავს. ამიტომაც, ყოველგვარი აკრძალვა გადალახა. უძლიერესი ნებისყოფის პიროვნება გახლდათ ისკარიოტელი, დიახ! იესოს გაყიდვისთანავე იუდას დანიშნულება ამოიწურა. სხვა აღარაფერი ჰქონდა გასაკეთებელი. ყველაფრის სურვილი დაკარგა. – ამბობს ბარაბას პირით მწერალი და აღნიშნავს, რომ იუდამ „ქრისტეს აღზევება ვერ აიტანა, დანარჩენ მოციქულებთან გათანაბრება არ აკმაყოფილებდა.“ დაგვეთანხმებით, ერთობ საინტერესოა იკა ქადაგიძის მოსაზრებები და ეხმაურება დამკვიდრებულ აზრს, რომ ქრისტე ქრისტე აღარ იქნებოდა, რომ არა იუდა. ჩვენი ვარაუდით, იუდამ თავი კი არ მოიკლა, მოკლეს (მაგრამ ეს –ჩვენი აზრით!).

ვუღოცავ იკა ქადაგიძეს ამ რომანის გამოსვლას. იმედია, იგი კიდევ ბევრჯერ გაგვახარებს.

დალილა გედიანიძე

ორი გვარის წარმომავლობისათვის

საკვანძო სიტყვები: გვარი, თავ-ძე, თავ-დზ-ისშვილი, თავდიშვილი, თავზიშვილი

ერთხელ ჩემს საყვარელ ლექტორ ივანე გიგინეიშვილსა ვკითხე: ჩემი გვარი – თავდიშვილი – საიდან მომდინარეობს და რასა ნიშნავს-მეთქი?

პროფესორმა მცირე ყოვნის შემდეგ მითხრა: იგივე უნდა იყოს, რაც მთავრის (თავადის) შვილი, ოღონდ რელიგიური და არა საერო მთავრისაო.

ამ პასუხმა ვერ დამაკმაყოფილა.

წლების განმავლობაში მაწუხებდა გვარის წარმომავლობა-გენეზისის საკითხი.

როგორღაც არც არქივებსა და სხვა წყაროებში შემხვედრია იგი დაფიქსირებული.

ისიც კარგად ვიცოდი, რომ სულ სხვაა თავდიდიშვილი და სულ სხვა – თავდიშვილი; რომ ასე მარტივად (თავდიდიშვილი→თავდიშვილი) ეს საკითხი ვერ გადაწყდებოდა.

ამასობაში წილად მხვდა ტოპონიმი ზ უ რ გ ე თ ი ს საიდუმლოს გარკვევა. იგი მომდინარეობს სახელისაგან ო ძ რ ხ ე და აქ მთავარია ,,ძ“ რთული თანხმოვნის (აფრიკატის) დაშლა: ო ძ – უ – რ ხ ე ო ზ უ რ ხ ე, სადაც ,,უ“ ხმოვნის გამოისობით ,,ძ“ დაიშალა შემადგენელ ფონეტიკურ კომპონენტებად – დ + ზ; აქედან პირველი დაიკარგა და ასე მივიღეთ შუალა ფორმა ო ზ უ რ ხ ე. იგი დაფიქსირებულია არჩილ ბაგრატიონის პოემაში (1.489).

თ ა ვ დ ი შ ვ ი ლ ი და თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი ერთნაირი წარმომავლობის გვარები უნდა იყოს. ისინი მომდინარეობენ ერთი და იმავე კომპოზიტისაგან. ეს გახლავთ თ ა ვ – ძ ე.

გვაქვს კომპოზიტები: თავ-ბერი (ძე), თავ-მამაი (შვილი), თავ-ზარა (შვილი), თავ-ქალა (შვილი) ან, კიდევ, თავა-ქალა (შვილი), თავ-გორა (შვილი), თავ-ველი (ძე), თავ-დუმა (ძე), თავ-დგირი (ძე) და მისთანანი, სადაც სავსებით ნათელია პირველი კომპონენტის შინაარსი. ეგ გაგება არაორაზროვნად არის დაცული სიტყვებში: თავ-კაცი (თავი კაცი), თავ-ჩობანი (თავი ჩობანი) და ა. შ. ესე იგი, თ ა ვ ი ამ შემთხვევაში (და არა ყოველთვის) აღნიშნავს მთავარს, ცენტრალურს, უპირატესს, გამორჩეულს, მეთაურს, მეწინავეს...

ამრიგად, ორივე გვარის პროტოსახე ასეუნდაწარმოვიდგინოთ: თ ა ვ – ძ ი ს - შ ვ ი ლ ი.

აღნიშნულმა ფორმამ მოგვცა ორი ვარიანტი, რამდენადაც რთული თანხმოვანი ,,ძ“ იშლება ორ კომპონენტად: ძ → დ + ზ.

ერთის მხრივ, ცნობილი ფონეტიკური პროცესის (დეზაფრიკატიზაცია) თანახმად, ,,ძ“ თანხმოვნის კომპონენტებიდან შენარჩუნდა პირველი:

თ ა ვ – ძ – ი ს შ ვ ი ლ ი→ თ ა ვ – დ ზ – ი ს შ ვ ი ლ ი → თ ა ვ - დ – ი ს შ ვ ი ლ I→ თ ა ვ დ ი შ ვ ი ლ ი.

მეორე შემთხვევაში, პირიქით, შენარჩუნდა რთული ბგერის მეორე კომპონენტი:

თ ა ვ – ძ – ი ს შ ვ ი ლ ი→ თ ა ვ – დ ზ – ი ს შ ვ ი ლ ი → თ ა ვ ზ – ი ს შ ვ ი ლ ი→ თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი.

აქვე დავსძენთ:

ქართულ დიალექტებში ჩვეულებრივია ,,ძ“ და ,,ზ“ ფონემების ურთიერთმონაცვლეობა. მაგალითად, ინგილოურში სალიტერატურო ფონემას ,,ძ“ თითქმის ყოველთვის ენაცვლება ,,ზ“.

ეს საყოველთაოდ ცნობილი ამბავია.

ამ გვარებს ეხებიან მკვლევარები ილია მაისურაძე და იაკობ ახუაშვილი. პირველი მათგანი მიუთითებს, რომ თ ა ვ დ ი შ ვ ი ლ ი არისო თ ა ვ დ ი დ ი შ ვ ი ლ ი ს შემოკლებული ვარიანტი (2, 71).

ამ პრიმიტიულ და უარგუმენტო თვალსაზრისს პირწმინდად იმეორებს მეორე მკვლევარიც (3,216).

კიდევ უფრო უცნაურია ამ ორი ავტორის მოსაზრება მეორე გვარის წარმომავლობაზე. ი. მაისურაძე სრულიად უარგუმენტოდ ბრძანებს, რომ თ ა ვ ზ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს შემოკლებული ვარიანტიაო თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი (2,71).

ი. ახუაშვილი პირწმინდად იმეორებს იმასვე (3,208).

არავითარი საამისო არგუმენტი მკვლევარებს არ წარმოუდგენიათ, გარდა ლიტონი განცხადებისა.

ვამტკიცებთ:

თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი ვერაფრით წარმოდგებოდა თ ა ვ –ზ ა რ ა – შ ვ ილ ი – ს ა გ ა ნ. მათ არაფერი აქვთ საერთო.

საგულისხმოა შემდეგი გარემოება:

ორივე მკვლევარი ითვალისწინებს თ ა ვ კომპონენტის მხოლოდ ერთ მნიშვნელობას (ადამიანის სხეულის ზედა ნაწილი), ოღონდ არც ერთს აზრად არ მოსდის თ ა ვ კომპონენტის მეორე, ეგებ ის უფრო საინტერესო მნიშვნელობა – ეს გახლავთ მთავარი, ცენტრალური, უფროსი, მეწინავე, პირმშო, გამორჩეული, ანუ ის მნიშვნელობა, რაც თან ახლავს სიტყვებს: თ ა ვ – კ ა ც ი, თ ა ვ – ც ი ხ ე, თ ა ვ – ბ ე რ ი, თ ა ვ - გ ო რ ა და სხვები.

აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა ისტორიის სიღრმეში შეჭრა.

როგორცა ჩანს, ჩვენთვის საჭირო გაგების თ ა ვ – ი უფრო ძველი ყოფილა, ვიდრე ადამიანის ფიზიკური ნაწილის თ ა ვ ა დ გააზრება.

ხეთების დედოფალთა საპატიო ტიტული, რომელიც აღნიშნავდა მბრძანებელს, უფალს, მთავარქალს, ასე გამოითქმებოდა: თ ა ვ - ა ნ ა ნ ა (4. 562).

ასე რომ, თ ა ვ – ი ს, როგორც ადამიანის ორგანოს, გაგება მეორეული ჩანს!

არც ის არის მისაყურისძირებელი, რომ VI საუკუნის I ნახევარში საქართველოს კათალიკოსი ასე იწოდებოდა – თ ა ვ – ფ ა ჩ ა გ; საქართველოს ისტორიული ადგილის ერთ პოპულარულ ტბას ასე ეძახდნენ: თ ა ვ - ფ ა რ ა ვ ა ნ ი, რაც ნიშნავდა მთავარ ფარავანს. იგულისხმება, რომ არსებობდა სხვა ფარავანებიც; ცნობილია ღვინო თ ა ვ – კ ვ ე რ ი; პირველ, დამწყებ, მეწინავე ფურცელს ეწოდება თ ა ვ – ფ უ რ ც ე ლ ი, რაც, რა თქმა უნდა, თავი ან ფურცელს კი არ ნიშნავს, არამედ – პირველს, მეწინავეს, წინამძღვარს, მეთაურს; სწორედ ამგვარი შინაარსისა და სტრუქტურისა უნდა იყოს გვარი თ ა ვ – ქ ა ლ ა – შ ვ ი ლ ი // თ ა ვ ა – ქ ა ლ ა – შ ვ ი ლ ი. აქ პირველადია თ ა ვ – ქ ა ლ ა შ ვ ი ლ ი, სადაც თ ა ვ მთავარსა ნიშნავს, ხოლო სპარსულიდან მომდინარე ქ ა ლ ა – თავის ქალის ჩონჩხს.

მაშასადამე, მივიღეთ მ თ ა ვ ა რ თ ა ვ ი ა ნ ი, როცა გაგების თ ა ვ სიტყვას მოსდევს უცხოური სიტყვა თ ა ვ ი ს მეორეული გაგებით (ადამიანის ნაწილი).

დავასკვნით: საკმაოდ ცნობილი ორი გვარი თ ა ვ დ ი შ ვ ი ლ ი და თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი ერთი და იმავე წარმომავლობისაა; მათი პროტოფორმა გახლავთ თ ა ვ – ძ ი ს – შ ვ ი ლ ი; აღნიშნულ გვარებს არაფერი აქვთ საერთო თავდიდიშვილსა და თავზარაშვილთან.

მურმან თავდიშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი

ბაბუაბის ახალი წელი

(მოგონებებიდან)

უკვე, საღამოს 10 საათია. დიდ, ძველებურ, ხის საათს კედელზე საპატიო ადგილი უკავია. ალბათ ნახევარი საუკუნის იქნება. ამასწინათ გაფუჭებულა. ბაბუას მესაათესთან წაუღია. ახლა მან 10-ჯერ ჩამოკრა საათის ისარს. ისეთი წკრიალა ხმა აქვს, რომ ტანში ჟრუანტელი მივლის. ცოტაც... ცოტაც და....

ლამპის შუქზე ალაგ-ალაგ ნათდება ოთახი. ზოგან უფრო მეტად, ზოგან – ნაკლებად. მოსიარულე ადამიანთა ჩრდილები კედლებზე ისახება და მერე ისევ იკარგება. შუქ ჩრდილების თეატრს მაგონებს.

ბუხარი – ეს სხვა თემაა.... აქ ყველაზე მეტი სითბო და სინათლეა. ცეცხლის ენები ერთმანეთს ერწყმიან და სადღაც, უსასრულობისაკენ მიისწრაფიან. მე ბუხართან ვზივარ და ვუცდი... ვუცდი, როდის დაიწყება ახალი წლის ზღაპარი.

ბებიაც შემოდის. ხელში რამდენიმე გამხმარი ხის ტოტი უჭირავს და ცეცხლს უმატებს. მერე ისიც ჩემს გვერდით ჯდება.

ნაძვის ხე სულ რამდენიმე დღის წინ, როცა ბებიას სტუმრად ვეწვიეთ, მრგვალი ბურთულებითა და სათამაშოებით მოვრთეთ. თურმე, ნაძვის ხე ელექტრონული ყოფილა, დენის წყაროში ჩართვისას ტრიალს იწყებს. ალბათ, მასაც ვიხილავთ, როცა შუქი მოვა.

ოთახის ცენტრში მდგარი მაგიდა საგანგებოდ იშლება. თეთრ სუფრაზე საცივს, გოჭს, ხაჭაპურებს, ღვინოს, ჩურჩხელებსა და გოზინაყს აწყობენ.

გარეთ ძაღლი ყეფს. კარებს ვაღებთ. უმალვე სახლში შემორბის და კუდის ქიცინს იწყებს.

ოთახში ისეთი სუსხი შემოდის, ზამთრის ცივ დღეებს რომ შეფერის ხოლმე, ალბათ ძაღლსაც შესცივდა.

რამდენიმე წუთში ახალი წელიც შემოვა. ყველა მაგიდასთან ვიკრიბებით და საათის ხმას გამალებით ვუცდით. მან ისე მჭექარედ შემოკრა 12-ჯერ, რომ საზეიმო და ამაღელვებელი განწყობა კიდევ უფრო გააძლიერა. მალე კარები იღება და მეკვლე შემოდის. დიდ თეფშზე დაწყობილ სხვადახვა სანოვაგეს მაგიდაზე დებს და ახალ წელს გვილოცავს.

დილით გაღვიძებულს ბებია საწოლთან მხვდება. ხელში თეფში უჭირავს. ზედ ბრინჯი, ღერღილი და ხურდა ფულებია. ხურდებს ხელში მაძლევს. ცოტაოდენ ბრინჯსა და ღერღილს კი თავზე მაყრის. ამბობს, რომ ბარაქის მომტანია. ეს ბებიას ტრადიციაა, რომელსაც ოჯახის ყველა წევრს უკეთებს.

ოოო, გარეთ რა ამბავი ყოფილა?! თოვლი მოსულა. ქვეყანას მოსდებია თეთრი საბანი. ყველაფერი ირგვლივ რა ლამაზია – სუფთა და სპეტაკი. ისეთი შეგრძნება მაქვს, შემდეგ: თითქოს სამყარო ისევ თავიდან დაიბადა. ისევ იცვალა ფერი, თავიდან დაიწყო ცხოვრება. სიწმინდე მოჰფენია ქვეყნიერებას. საათიც გადაცდა 12-ს და... ისევ დაიწყო ათვლა თავიდან 1..2..3... სადღაც ახალი სიცოცხლეც დაიბადა. ტირილით გვამცნო – მეც ამ სამყაროს ნაწილი გავხდიო.

გარეთ გავრბივარ. წელს თოვლის პაპამ დააგვიანა. ის ჩემთან ჯერ არ მოსულა. მას თოვლიანი მთების მწვერვალებიდან ველი. და, მეც ხომ ვიცი, რომ ის აუცილებლად მოვა.....

ლონდა ფილიშვილი

„მესხეთის ფიროსმანი"

1984 წლის 15 დეკემბერს ახალციხის რაიონულ გაზეთში („წითელი დროშა") დაიბეჭდა ჩემი წერილი „მშობლიური მხარის სიყვარულით", რომელშიც მოკლედ იყო მოთხრობილი ახალციხელი თვითნასწავლი მხატვრის მიხეილ იაძის ცხოვრება-მოღვაწეობისა და მისი შემოქმედების შესახებ.

იაძეების მშვენიერი გვარის სააკვნე-საძირკველი ძველ-მესხური სოფელი

ღრელია. ამ სოფლის მაღალი გადმოსახედიდან ხელისგულივით მოსჩანს სამცხის ქვაბულის დიდი ნაწილი, მდინარე ფოცხოვის ნაპირებზე გაშლილი ძველი და ახალი ახალციხე თავისი სამგალავნიანი ციხესიმაგრითა და ეკლესიებით.

მიხეილ იაძე ამ კუთხის შვილი იყო, ბევრი სმენოდა და წაკითხული ჰქონდა მისი გმირული წარსულის შესახებ, იცოდა, გრძნობდა, რომ დიდი ისტორიით სუნთქავდა აქაური, არამარტო პირველხარისხოვანი ციხესიმაგრეები, ეკლესია-მონასტრები და დარან-გამოქვაბულები, არამედ ნებისმიერი სოფელ-ქალაქისა თუ ნასოფლარ-ნაქალაქარის ყოველი კუთხე-კუნჭული, მთა-ხევ-ღელე და ქვა-ლოდი. ამიტომაცაა, რომ მის მხატვრულ ტილოებზე მეტი ადგილი დათმობილი აქვს ისტორიულ ძეგლებს, გამოჩენილ ადამიანებს, ღირსშესანიშნავ მოვლენებს.

– „სიყვარულმა მათქმევინა, თორემ მე ვინ, ლექსი ვინა"? – უთქვამს ერთ ლექსში პოეტსა და გენერალს გრიგოლ ორბელიანს. მიხეილ იაძესაც სიყვარულმა, მშობლიური მხარის სიყვარულმა ააღებინა ფუნჯი ხელში...

იგი დაიბადა 1925 წელს ქალაქ ახალციხეში. დედამისი – სარა მაისურაძე მუსხელი ქალი იყო, კარგად უკრავდა და მღეროდა გარმონზე. მამა – ვლადიმერი კი ჯერ მოჯამაგირეობას ეწეოდა აბასთუმანში, შემდეგ მზარეულად დასდგომია ახალციხეში უშვილო მებატონეს იაკობ ორბელიანს, რომლის საკუთრებას შეადგენდა დღევანდელი სამუსიკო სკოლის ორსართულიანი შენობა. 30-იან წლებში ორბელიანები დაიხოცნენ, მათი მდიდარი ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი ვიღაც უპასუხისმგებლო ადამიანებმა დაწვეს, გაანადგურეს. ამ დანაშაულს ისიც ამძიმებდა, რომ დამწვარ ხელნაწერთაგან ერთი „ვეფხისტყაოსანი" იყო.

ხატვისადმი მიდრეკილება მიშას



სკოლის წლებშივე გასჩენია. ახალციხის პირველ საშუალო სკოლაში სწავლისას გულმოდგინედ ადგენდა სასწავლო რუკებს, აფორმებდა კიდეც გაზეთებს, ხატავდა ილიას, ყაზბეგს. რუსთაველის 750 წლისთავთან დაკავშირებით „ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციებზეც უმუშავია.

1942 წელს მ.იაძემ დაამთავრა საშუალო სკოლა და ერთი წლის შემდეგ დიდი სამამულო ომის ფრონტზე წავიდა. პირნათლად მოიხადა ვალი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. შემდეგ – გორის პედაგოგიური ინსტიტუტი. აქ მან შექმნა პირველი ფერწერული ნამუშევარი – „გორის ციხის აღება სიმონ მეფის მიერ 1650 წელს", რომელიც მოიწონეს გორელებმა და ინსტიტუტშივე დაიტოვეს.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მ.იაძემ ახალციხის სპორტსკოლის დირექტორად დაიწყო მუშაობა, შემდეგ დიდხანს, 1982 წლამდე თავმჯდომარეობდა ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულ კომიტეტს, ბოლოს იყო ფიზაღზრდის ხელმძღვანელი ახალციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. მიხეილი, სხვათაშორის, კარგი სპორტსმენიც გახლდათ ტანვარჯიშსა და მძლეოსნობაში, რასაც ადასტურებს

პრიზები, სიგელები...

მ. იაძის ბიოგრაფიაზე ამდენს იმიტომ ვსაუბრობთ, რომ გულწრფელად გვინდა მკითხველმა და მისი ნახატების დამთვალიერებელმა მეტი იცოდეს მის შესახებ, მეტი სისავსით აღიქვას მისი მზარდი შემოქმედება, მზარდი იმ გაგებით, რომ მიშას ნახატები სულ უფრო პოპულარული ხდება როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

მიხეილი ხატავდა აკვარელითა და ზეთიანი საღებავებით, მის ნახატებს არაერთხელ დაუმშვენებიათ მშობლიური ქალაქის სკოლების, მუზეუმის, თეატრის, ცენტრალური ბიბლიოთეკის დარბაზები, მაგრამ ამ ნახატების ძირითადი „ნავსაყუდარი" მაინც საკუთარი სახლის ერთი მოზრდილი ოთახია, სადაც დაუნჯებულია წლების მანძილზე ნალოლიავები ფერწერული ტილოები: „გუთნისდედა", „მესხური ჯილღა", „ხართან ჭიდილი", „ლაშიხევის წისქვილი", „ღრელის აბანო", „რუსთაველი და თამარი ვარძიაში", „შოთას გამგზავრება იერუსალიმში", „ხერთვისის ციხე", „ზარზმა", „საფარა", „აწყურის ციხე", „ახდილა" (ნასოფლარ-ნაეკლესიარი ახალი მუსხის ბაღებში), „ქართველ ტყვეთა ნაყვანა ოსმალეთში", „ახალციხის გათავისუფლება 1828 წელს", „ბოლშევიკების შემოსვლა ახალციხეში" და სხვა მრავალი.

1987 წლის მაისში თბილისის სამხატვრო გალერეაში მოეწყო თვითნასწავლი მხატვრებისა და ხალხური რეწვის ოსტატთა ნამუშევრების რესპუბლიკური გამოფენა. ამ გამოფენის სახვითი ხელოვნების განყოფილებაში წარდგენილი იყო მიხეილ იაძის რამდენიმე ნახატი, რომელთაგან ხუთი („საფარა", „ხერთვისის ციხე", „ხარება", „ძველი მუსხი", „ძველი ღრელი") შეირჩა და გაიგზავნა მოსკოვში. იმ ხანებში, იქიდან მიხეილ იაძის სახელზე ასეთი შინაარსის წერილი მოვიდა: **„პატივცემული მიხეილ ვლადიმერის ძევ, სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო აწყობს თვითნასწავლ მხატვართა საუკეთესო ნამუშევრების გამოფენას 1988 წლის აპრილ-მაისში, პარიზში. თქვენი ნამუშევრები – „სოფელი მუსხი" და „ხარების დღესასწაული", რომელიც ექსპონირებულია მოსკოვში, სრულიად საკავშირო გამოფენაზე, კომისიის მიერ რეკომენდებულია პარიზში ჩვენებისათვის. თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ კატალოგისთვის თქვენი შემოქმედებითი ბიოგრაფია"**. წერილს ხელს აწერდა რუსეთის სამეცნიერო-მეთოდური ცენ-

ტრის სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების განყოფილების რედაქტორი ოლგა დიაკონიცინა.

სამწუხაროდ, მიხეილ იაძე აღარ იყო ცოცხალთა შორის, მაგრამ მისმა შვილმა ზურაბ იაძემ უპასუხა ო.დიაკონიცინას – გაუგზავნა მამის ბიოგრაფიული მონაცემები და ცნობა ნახატების რაოდენობის შესახებ. ო.დიაკონიცინამ მადლობა შემოუთვალა მხატვრის ვაჟს მიწოდებული ცნობებისათვის და, ამავე დროს, იგი წერდა:

„სასიამოვნოა, რომ ასეთი სიყვარულით და სიამაყით ექცევით მამათქვენის მხატვრულ მემკვიდრეობას. მაშასადამე, მისი ნამუშევრები არ დაიკარგება და ხსოვნა დარჩება არამარტო ნათესავებისა და მეგობრების, არამედ მხილველთა გულებშიც. ზურაბ მიხეილის ძევ, წერთ, რომ მამათქვენს დარჩა დაახლოებით 60 ფერწერული ნამუშევარი, თქვენ კი არ გიცდიათ მათი პერსონალური გამოფენის მოწყობა. მამათქვენის ნამუშევრები საქართველოს ისტორიას ეძღვნება და ძალზე საინტერესოა... შეგვატყობინეთ პარიზში საგამოფენოდ რეკომენდებული ნამუშევრების ღირებულება. ეს საჭიროა სათანადო საბუთების გაფორმებისთვის".

პასუხად ზურაბ იაძე თვითონ ჩავიდა მოსკოვში, შეხვდა ო. დიაკონიცინას, რომლისგანაც შეიტყო, რომ „მესხეთის ფიროსმანის" ორი ნახატი – „ძველი მუსხი" და „დღესასწაული ხარება" გაგზავნილია პარიზის ხელოვნების მუზეუმში საგამოფენოდ და, რომ ამით დაინტერესებულია თვით იუნესკო, რომლის ეგიდითაც ეწყობა ეს გამოფენა. ეს უკვე აღიარება იყო ახალციხელი მხატვრის ჭეშმარიტი ხელოვნებისა!

როგორი იყო მ.იაძის ფერწერულ ნამუშევართა მოსკოვური გამოფენის შედეგი? – სრულიად საკავშირო ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტმა ახალციხელი მხატვარი დააჯილდოვა ლაურეატის მედლით, ხოლო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარმა კომიტეტმა – ოქროს მედლით.

იმავე 1988 წელს მიხეილ იაძის ნამუშევრების გამოფენა მოეწყო ახალციხეში, მესხეთის სახელმწიფო თეატრის შენობაში, რომელიც მრავალმა დამთვალიერებელმა იხილა. მათ შორის იყო საერთაშორისო დიდოსტატი ჭადრაკში ედუარდ გულფელდი გაზეთ „ზარია ვასტოკას" კორესპონდენტ ე.ბუძუმინთან ერთად. მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება გაგიზაროთ მათი შთაბეჭდილება. ე.გულფელდი: **„აღფრთოვანებული ვარ შესანიშნავი მხატვრის მ.ვ.იაძის ნიჭით. ეს ექსპოზიცია იმსახურებს ყველაზე საპატიო ადგილს ჩვენი დროის საუკეთესო ოსტატთა შორის"**. ე.ბუძუმიანი: **„მუდამ სასიამოვნოა შეეხო ჩვენი სამშობლოს, ჩვენი საქართველოს სახელოვან წარსულს. ეს ისტორია უნდა იცოდე, რადგან იგი მდიდარია უკვდავი გმირების თვითმყოფადი ტრადიციებით. მათ შესახებ ნიადაგ მოგვითხრობენ წიგნები, სურათები, რომლებიც შექმნილია ნიჭიერი ოსტატების მიერ. ერთი იმათგანია თვითნასწავლი მხატვარი მიხეილ იაძე. მისი შემოქმედება გვხიბლავს, ჩაგვაფიქრებს წარმოვიდგინოთ საქართველოს ისტორიის პერიოდები... მადლობა"**.

მაშ ასე: ახალციხე-თბილისი-მოსკოვი-პარიზი... ასეთია მესხი მხატვრის ფერწერულ ნამუშევართა ოდისეა ჯერ-ჯერობით...

აღსანიშნავია, რომ მ.იაძის ნამუშევრების დამთვალიერებელთა შეფასებებში ერთგვარი ტენდენციურობა შეინიშნება. ეს უფრო არაქართველ სპეციალისტებზე ითქმის. მათი „სიმპათიები", რატომღაც, გადატანილია ეთნოგრაფიულ-საყოფაცხოვრებო თემებზე შექმნილ სურათებზე და არა ისტორიულ, გნებავთ, არქიტექტურის თემებზე შესრულებულ ნახატებზე. მაგალითად, „საფარა", გეგონებათ ფოტოგრაფიული სიზუსტითაა გადაღებული, მაგრამ „წინა პლანზე" ისეთ სურათებს სწევენ, როგორიცაა „მესხური ჯილღა", „ლაშიხევის წისქვილი", „ხართან ჭიდილი", „ხარება" და ა.შ. ამის მიზეზი, ალბათ, ის უნდა იყოს, რომ რაც ისტორიულია, მეტნაკლებად, ყველამ იცის, ან, ყოველ შემთხვევაში, მსგავსი რამ თვითონაც გააჩნიათ, ეთნოგრაფიულ და საყოფაცხოვრებო თემაზე შესრულებული ნამუშევრები კი მათთვის უცხო თუ საუცხოო „ხილს" წარმოადგენს.

მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ ეს საგაზეთო წერილი სხვათა გამონათქვამებით გადავტვირთეთ, თუმცა, ესეც ნორმალურია – თუკი ვინმეს კარგი უთქვამს ჩვენს მხატვარზე, რატომ უნდა დავუმალოთ საზოგადოებას?

რამ განაპირობა მ.იაძის წარმატება და პოპულარობა? – ცხადია, მისმა პიროვნულმა თვისებებმა – ნიჭმა, ნებისყოფამ, შრომისმოყვარეობამ და საკუთარი მოწოდების რეალიზების დიდმა სურვილმა. გადახედეთ მის ფერწერულ ტილოებს. ოდნავადაც არ შეგეპარებათ ეჭვი, თუ რაოდენ ძლიერია მესხი მხატვრის სულიერებაში სამშობლოს სიყვარული და „სახელისათვის ამაყი თრთოლა" (ილია). მ.იაძე, პირადად მე, ფიროსმანის საქმის გამგრძელებლად წარმომიდგენია. ასე მგონია, ორივეს ერთად უსწავლიათ, ერთი სკოლა დაუმთავრებიათ. სიმანდვილეში არც ერთად უსწავლიათ (ან როგორ ისწავლიდნენ) და არც სკოლა დაუმთავრებიათ. ამიტომ ინოდებიან ისინი „თვითნასწავლ მხატვრებად".

დარწმუნებული ვარ, „მესხეთის ფიროსმანის" – მიხეილ იაძის ფერწერულ ნამუშევართა შემდგომი გაცნობა-გაანალიზებისა და შეფასების არეალი, მსგავსად დიდი ფიროსმანისა, კიდევ უფრო გაიზრდება მომავალში...

ვაჟა სამსონიძე

ღვთიური ფუნჯისა და კალმის შემოქმედი

სულ ცოტა ხნის წინ, დიდმა ხელოვანმა – ბატონმა რეზო (ემელიანე) ადამიამ კიდევ ერთხელ გაახარა მისი თაყვანისმცემლები.

შემოქმედის უსაზღვრო ნიჭის ამღიარებლებს დაახლოებით ნახევარი წლის განმავლობაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოფენო დარბაზში საშუალება მიეცათ ეხილათ დიდი მხატვრის გამოფენა – ***„გალაკტიონი და კოსმოსი“.***

წერილის დედამიზანიც სწორედ იმ გამოფენაზე რამდენიმე სიტყვის თქმაა.

ისე კი, კარგახანია, გულში ჩანიშნული მაქვს ვრცელი ნაშრომის შექმნა ამ დიდებულ პიროვნებაზე, რომლის ხელოვნება ბრძნული აზროვნებისა და ულამაზეს ფერთა ჭეშმარიტი თანაარსებობის საუკეთესო ნიმუშია.

„მრავალი განზრახვაა კაცის გულში, მაგრამ მხოლოდ უფლის ჩანაფიქრი აღესრულება“, – გვმოძღვრავს ბრძენი სოლომონი და მეც, გულწრფელად შევკადრებ უფალს, სამომავლოდ, ჩემი ნაფიქრის აღსრულების უზენაეს ნებას...

ხელოვნების მრავალმა მოყვარულმა დაათვალიერა ნამუშევრები.

მაღალი შეფასება დაიმსახურა თემატურმა გამოფენამ.

ითქვა, რომ ის გალაკტიონის გენიალური შემოქმედების მხატვრული გარდასახვის საუკეთესო ნიმუშია და, უპირველესად, „პოეზიის სიღრმეებში წვდომითა და გალაკტიონის პოეტური სამყაროს კოსმიური გააზრებით“ ნარმოჩნდება.

საგამოფენო დარბაზში, ნამუშევრების დათვალიერების შემდეგ, აკადემიკოსმა, დიდი გალაკტიონის ძმისშვილმა – ბატონმა **ნოდარ ტაბიძემ** აღფრთოვანებულმა თქვა: – *„ხელწერა ერთია – შენი ყველაზე დიდი წარმატება არის ის, რომ ეს ფორმა აირჩიე – „კოსმოსიდან მოსული გალაკტიონის მუზათა სიმრავლე“. ეს უკვე შენი შემოქმედების მწვერვალია. ყოჩაღ!*

პირველი და უმთავრესი ნიშანი ბატონი რეზოს ნამუშევრებისა, ეს არის მოვლენათა და პროცესთა ღრმა ფილოსოფიურობა. უფრო მეტიც, ბატონი რეზო პირველი ბრძანდება, რომელმაც გალაკტიონი კოსმოსთან დაკაშვირებით წარმოაჩინა. დაუკვირდით სურათს – „გალაკტიონ ტაბიძის მზერა სამყაროდან“ – ორიგინალურზე ორიგინალური. ეს წერტილად არ უნდა აღიქვა, ეს არის კოსმოსი...

ალბათ, ეს გამოფენა არამხოლოდ თბილისელებმა, არამედ, სრულიად საქართველომ უნდა გაითავისოს, უფრო მეტიც, ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ბევრი ტილო ევროპისა და ამერიკის სახელგანთქმულ მუზეუმებს დაამშვენებს.

თავს ვხრი ბატონი ემლიანეს ნიჭის წინაშე...“

იმ დღეებში მრავალმა სახელოვანმა ადამიანმა გამოთქვა თავისი მოსაზრება გამოფენაზე. ზოგმა შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერაც ისურვა. გთავაზობთ რამდენიმეს:

მაყვალა გონაშვილი – *„დიდი მადლობა იმისთვის, ასეთი დღესასწაული რომ გვისახსოვრეთ. მიყვარს თქვენი ფერ-ტილოები, თქვენი მეწამული მზე, თქვენი იისფერი თოვლი და სევდისფერი საქართველო. თქვენი თვალით დანახული გალაკტიონის ბობოქარი სულის კივილი და კოსმოსს შერთული, კოსმოსს შერეული სისხლის წვეთები, ლექსს სტრიქონებად რომ იქცევა.*

ღმერთმა დაგლოცოთ და კალამიც გიძლიეროთ და ყალამიც“.

პაატა ბურჭულაძე – *„მე დღეს პირველად გავიგონე გალაკტიონის კოსმიური სიმღერა, მისი ხმა. ბატონო რეზო, დიდი მადლობა ამისათვის. ჩემზე, როგორც მომღერალზე, განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა თქვენმა ექსპოზიციამ“.*

გიორგი კვესიტაძე – *„გამოფენა და თქვენი ფერწერის სტილი ორიგინალურია და მე ძალიან მომეწონა. გილოცავთ, გისურვებთ დიდ წარმატებას“.*

რონ მეტრეველი – *„სრულიად არ იყო უჩვეულო, რომ საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიაში გამოიფინა გამოჩენილი ქართველი მხატვრის რეზო (ემელიანე) ადამიას მხატვრული ტილოები. გამოფენა მიეძღვნა გალაკტიონ ტაბიძეს („გალაკტიონი და კოსმოსი“).*

მხატვარმა წარმოაჩინა პოეტის სამყარო, მისი დამოკიდებულება საზოგადოებასთან. თავისი სიღრმითა და მრავალფეროვნებით ყოველი ნაწარმოები მსჯელობას იმსახურებს. თავად რეზო ადამია ოსტატის ფუნჯს მწერლის კალამსაც უხამებს და მეტად საინტერესო ნარკვევების ავტორია. თუნდაც ის ფაქტი, რომ მისი მხატვრული ნაშრომები საზღვარგარეთის ქვეყნებში, მათ შორის საფრანგეთში (პარიზში) გამოიფინა, რაც შემოქმედის ფართო მასშტაბებსა და დიაპაზონზე მეტყველებს.

აკადემიის კედლებში მონყობილი გამოფენა ჭეშმარიტად აკადემიური იყო. აშკარად გამოჩნდა მხატვრის ღრმა აზროვნება, სიახლის გრძნობა, საოცარი ფერების წარმოჩენის უნარი. გამოფენის წარმატებაზე მის მნახველთა დიდი კმაყოფილებაც მეტყველებს.

ვუსურვებ ბატონ რეზო ადამიას ახალ გამარჯვებებს და საკუთარი შრომით მიღებულ ჭეშმარიტ ტკბობას“.

ფრიდონ თოდუა – *„ჩვენი ქვეყნის საამაყო პიროვნებამ და ყველასათვის საყვარელმა, უნიჭიერესმა ადამიანმა გვამოგზაურა საოცარ სამყაროში – კოსმოსში, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე“.*

ირინე ჯაფარიძე – *„უდიდეს მადლობას მოვახსენებ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, რომ მომეცა საშუალება პირადად გამეცნო დიდი ფერმწერი რეზო ადამია და გავცნობოდი მრავალმხრივ საინტერესო გამოფენას, სადაც ასცხრამეტი სურათია გამოფენილი. მხატვარი ცდილობს ფერებში გამოსახოს უდიდესი გენიის – გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ემოციები, განცდები, მისი კოსმოსთან შერწყმის დინამიკა და ტრაგიზმი“.*

ავთანდილ არაბული – *„გამოვხატავ ულრმეს პატივისცემას ბატონი რეზო ადამიას შესანიშნავი პიროვნების, ხელოვანისა და საზოგადო მოღვაწის მიმართ. ჭეშმარიტად სამაგალითოა მისი პატრიოტული სულისკვეთება, ენერგია, ენთუზიაზმი და გულში ჩამწვდომია მისი ხაზი და ფერი – ასე ქართული და ამაღლებული“...*

ნიკოლოზ კურტანიძე – *„... დარბაზში შესვლისთანავე გულისცემა ამიჩქარდა. ჩარჩოში გამომწყვდეული კოსმოსი დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა.*

კედლებიდან კოსმიური მღელვარება სხივებად იღვრებოდა და ჩემი სულის ზეციისაკენ ამაღლებას ინვევდა.

ავტორი დიდი სითბოთი შემოძღვა თავისი სამყაროში. ცდილობდა გადმოეცა თითოეული ნახატის შექმნისას განცდილი გრძნობა. ცდილობდა ჩემთვისაც ერთიანობაში მოქცეულიყო გალაკტიონი და გალაქტიკა. მიხსნიდა, თუ როგორ უკავშირდებოდა გალაკტიონის ხმა, მზერა, პოეზია სამყაროს ვარსკვლავურ კუნძულებზე მიმდინარე რეალურ პროცესებს... კოსმოსი დაინისლა. ტილოზე ვარსკვლავეთში ბუმბერაზი პოეტის სხეული ესვენა. გენიოსის სისხლს ვერ იტევს ერთი ტილო. წვეთები მეორე ნახატს ენვეთება. ვერც აქ ჩერდება მეამბოხე სისხლი. იატაკზე მოფენილ ხმელ ფოთლებს ათბობს პოეტის სისხლი. მგონია, გარეთ, 1959 წლის 17 მარტია. მგონია, ახლა, ამ წუთას, დაეშვა ჩემს თვალწინ საყვარელი სხეული.

ვხედავ, კოსმოსი ელის გალაკტიონს, მათ დასაპამიდან იცოდნენ მისი გარდაცვალების ისტორია. მთავარანგელოზი კი წუხს, წუხს დედამიწა, წუხს გალაქტიკა და... წამოვიღე დიდი ტკივილი. მეფეპოეტი გარდაცვლილა...

საოცარი სიმშვიდე ვიგრძენი. ხელოვნება ხომ მარადიულია. გალაკტიონიც ხომ მარადისობას შეუერთდა“.

ქვეყნის სატელევიზიო არხებზე ხშირად გადაიცემოდა საინტერესო და ვრცელი რეპორტაჟები საგამოფენო დარბაზიდან, ცნობილი მხატვრის ნამუშევრების შესახებ ნარკვევები ქვეყნდებოდა პერიოდულ პრესაში. გაზეთი „ქართული სიტყვაც“ შეეხმიანა იმ მოვლენას და გამოაქვეყნა პროფესორ **ციალა მესხიას** ვრცელი წერილი, საიდანაც გთავაზობთ მცირე ამონაწერს:

„გალაკტიონში კოსმიური ქარიშხალია“ ფართო ერუდიციის, აზროვნების, მასშტაბურობისა და პრობლემათა სირთულის გამოვლენით, ქართული სინამდვილის ესთეტიკური აზრის წარმოჩენაა, პოეტური ენერგიის მძლავრი ამოფრქვევა, ბაბილონის დღესასწაულია... დიდოსტატმა გალაკტიონის პოეტური ქვეყანა გააბრწყინა გალაქტიკაში. ეს ახალი სივრცეა, სხვათათვის მიუწვდომელი და შეუცნობელი, რომელიც ასე ბრწყინვალედ დალაშქრა დიდმა მაესტრომ...“

საკუთარ თავს მხატვრობის ზედმიწევნით მცოდნედ არ მივიჩნევ, იმ გამოფენასთან დაკავშირებულ ერთ შემთხვევას კი სიამოვნებით გავიხსენებ:

საგამოფენო დარბაზში გამოფენილ ნამუშევართაგან ერთ-ერთს, – მთვარის შუქზე მბჟუტავ ქოხს, განსაკუთრებულად წმინდა და რაღაცნაირად გამორჩეული თოვლი რომ ულამაზებს კარ-მიდამოს, თვალს ვერ ვაშორებ. ვუყურებ ისე, როგორც უდაბნოში მოხვედრილი მწყურვალი ცოცხალი არსება მოულოდნელად წაწყდომილ წყალს.

არ ვიცი რამდენ ხანს ვიყავი ნახატის ტყვეობაში, როცა დავშორდი, დარბაზის სხვა ადგილას, გამოტანილი სურათის შორიახლოს, აკადემიკოს **რონინ ლიპარტელიანის** მზერას წავაწყდი.

შევხვდით და გამოფენაზე მიღებული შთაბეჭდილებები გავუზიარეთ ერთმანეთს.

კარგახანია დაგინახე, მაგრამ, არ მოვედი, აშკარად გეტყობოდა, ნამუშევრით ტკბობას რომ იღებდი და გაგიხანგრძლივე სიამოვნებაო... ჩვეული გულწრფელობით მითხრა ყმაწვილკაცობიდან ნაცნობმა ჩემმა საყვარელმა პიროვნებამ.

„პლანეტარიუმის ასოთხმოცდაორი სურათი მაქვს შექმნილი. მე ასოთხმოცდაორჯერ ავად ვიყავი, მათ რომ ვქმნიდი. ახსნა ძნელია, ხშირად ჩემი თავისაც მიკვირს. რატომ? ჩემთვის უცნაური საიდუმლოა. შემოქმედი ზე სამყაროდან სულიერ და გონებრივ მოწოდებას (გააჩნია ვის როგორი რაოდენობის) ვერ აიცდენს. თუ აიცდინა, ცალკე ტანჯვაა“. ეს სიტყვები რეზო ადამიასეულია და რა იოლად ხდის ხელოვნების ნიმუშით დატყვევებას კაცისას, რომელიც მხატვრობის ღრმა ცოდნით თავს ვერ მოიწონებს. ამ შემთხვევაში ხომ „მთავარი დამნაშავე“ მხოლოდ ხელოვანის სიდიდეშია, ხელოვანისა, რომელიც ყოველი ნაშრომის შექმნისას ავად ხდება... და ეს, გენიოს შემოქმედთა ხვედრია, მჯერა!

სწორედ ამიტომ ბრძანა განუმეორებელმა **ოტია იოსელიანმა** რამდენიმე წლის წინ ასე:

–„სამწუხაროდ, ჩვენ უძველეს კოლხეთს რეზო ადამიას ქმნილებები თუ გადაარჩენენ და, საბედნიეროდ, მართლაც, თავისი დიდი სევდითა და მწუხარებით, როგორც მეგრული სიმღერება. სიმღერები, რომელსაც ისმენ, საქართველოს ისტორიას ფურცლავ. რეზო ადამიას კოლხეთი ისაა, რასაც ეს ესაა მივუსწარით და გადავარჩინეთ.

ხელოვნება თუ სარკეა და თავისი დროის ასახვაა, ამ ნახატებში ჭეშმარიტადაა ასახული“.

აქ, ვფიქრობთ, დროული უნდა იყოს, ხელოვანზე, ათობით წლის წინ, დიდი პოეტის **შოთა ნიშნიანიძის** გამოთქმულის გახსენებაც:

–„რეზო ადამიას მიზანია დაიჭიროს

და ტილოზე გააცოცხლოს ჩვენს მიერ ბუნებასა და ცხოვრებაში განცდილი წუთის სილამაზე, რამეთუ, ადამიანთა ნამდვილი ცხოვრება ამ ღამაზი წუთებისაგან შესდგება. იგი გვაზიარებს ასეთი წუთების მარადიულობას... რეზო ადამიას – შესანიშნავი შემოქმედისა და კაცის – მოძღვარის ცხოვრება სინამდვილე და ბუნების წიალია. მისი ნახატები მშვენიერების მაძიებელი კაცის სულიერი ბიოგრაფიაა“.

როცა საჭირო ჟამს მამაზეციერი მოწყალების გულითა და თვალით გადმოხედავს ქვეყნიერებას, ერში გამოარჩევს თითო-ოროლა ღირსეულ, მადლით და ნიჭით გაჯერებულ კაცს და მას ჯილდოდ მოუვლენს ხოლმე ხალხს.

სწორედ ასეთ რჩეულთა შორისაა რეზო (ემელიანე) ადამია – საქართველოს სახალხო მხატვარი და მწერალი.

მასთან ოდნავ დაახლოვებულ კაცსაც კი, კიდევ უფრო გულწრფელად უძლიერდება რწმენა ჭეშმარიტებისა იმაზე, რომ ყოველივეს განმკარგავმა, დიახაც, საკუთარ ხატად და მიმსგავსებულად შექმნა ადამიანი.

ამ შესანიშნავ პიროვნებას, მხოლოდ ია-ვარდით მოფენილი გზით არ უვლია, ბევრი ტკივილიც შეხვდა და ცხოვრებისათვის თანმდევი ზეციდან მოვლენილი გამოცდებიც ღირსეულად გაიარა.

უტკივილო კაცი, აბა რა კაციაო. წინაპართაგან ესეც შეისისხლხორცა. თუმცა, შინაგანად არანაკლებ სჯერა ბრძნული შეგონებისა: „მაშ, ვებრძოლოთ საკუთარ თავს“.

ქვეყნის თვალსაჩინო შემოქმედთა შორის დიდი ხანია სახელი დაიდო და არამარტო ჩვენში, უცხოეთშიც გაიცნეს და აღიარეს დიდებულ მხატვრად.

საქართველოს ქალაქების გარდა, პერსონალური გამოფენები აქვს მოწყობილი: პარიზში, დიჟონში, მარსელში, შერბურგში, ტრაპიზონში, სტამბულში, კარტერეში, პორტბაილში...

არსაიდან ხელმოცარული არ დაბრუნებულა, ყველგან ისახელა თავი და მრავალი ჯილდოთი და აღიარებით წარუდგა ქართველობას. ამის დასტურია ის პრემიები და ჯილდოები, რომლებიც მინიჭებული აქვს მის ნამუშევრებს, – არჩეულია პარიზის მსოფლიო ხელოვნების ცენტრის მუდმივ წევრად. მსოფლიოს შემოქმედებითი საზომის ერთ-ერთი უპირველესთაგანი ქვეყნის ასეთი პატივი და დაფასება ხომ მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელ ხელოვანთა ხვედრია!... მხოლოდ რამდენიმეს არგუნა უფალმა მსგავსი აღიარება, რადგან ასეთი იყო უზენაესი ნება მისი და ააკვიატებინა გენიოს გალაკტიონს – „მთავარია ნიჭი, ძამიკო, ნიჭიო“, რომელიც ასე გემრიელ ნათქვამად გვეგულვის.

დიდ ხელოვანთა ჩამონათვალში სახელდადებულ ბატონ რეზოს, გუნებაშიც არ გაუვლია ქვეყნის დატოვება და მშობლიურ ცისქვეშეთში ცხოვრების გაგრძელება არრია... ჭეშმარიტად, მართლაც სანიმუშო უნდა იყოს დიდი ხელოვანის „გზანი წამებისანი“. თავისი ერი და ქვეყანა უსაზღვროდ უყვარს, მშობლიური თემშარები და იქ ხეტიალი ყველაფერს ურჩევნია, ადამიანის ყადრი არავისგან ესწავლება, ნამდვილი ძმობა-მეგობრობა ძვალსა და რბილში უზის.

თავიდანვე ნაბიჯ-ნაბიჯ „შეიპარა სასურველ ედემში“, რასაც ერთი სახელი – დიდი შემოქმედება ჰქვია. მისი სიხარულები ახალგაზრდობაშივე პატარ-პატარა კამკამა ნაკადულებივით წამოვიდა, სიჭარმაგეში კი სუფთა და წყალუხვ მდინარედ იქცა. ბრწყინვალე შემოქმედის სახელის დამკვიდრების მიღმა, განვლილი სამოცდათექვსმეტწლიანი გზის აღმართ-დაღმართებში ალალმართლად სწორად სიარულიც მოახერხა...

ეს გარემოებებია თავიდათავი იმისა, რომ ღირსეულად სახელმოხვეჭილს მტრობა და ქილიკი ვერ ეკარება, ხოლო მშობელმა ხალხმა მართალი მსახურებისა და მაღალნიჭიერებისთვის განსაკუთრებულად გამოარჩია და შეიყვარა.

იმედიანი კაცია ბატონი რეზო და სჯერა, ხვალ მეტს შესძლებს, ვიდრე აქამდე შესძლო. კარგად იცის თუ რა დამღუპველია მიღწეულით სიმშვიდეში ყოფნა, რადგან ის ნიშანი იქნება საკუთარი შემოქმედებითი ძალების მინავლებისა. ამიტომაც, მუდამჟამს, შემართულია, ძიებასა და შრომის ორომტრიალში ყოფნას ამჯობინებს. მართალია, მოსწონს პოეტის თქმული: *„ძნელი ყოფილა*

ორმოცდაათს მიახლოება“ (მით უფრო ოთხმოცს!), თუმცა, შინაგანად მთლად როდი ეთანხმება მას.

ასეთი ადამიანების რწმენა და საქმე ერთადაა, უერთმანეთოდ აზრი არცერთს არა აქვს. შეგნებულად ესმის საკუთარი ნაწარმოებების დანიშნულება – ყადრი და მოდუნების უფლებას ვერ მიანიჭებს.

ვფიქრობთ, უდროო არ იქნება თუ აქვე გავიხსენებ მის მიერვე წარმოთქმულს თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს ხელოვანზე. აი, ისიც:

–„ზემოაზროვნე, კოსმოსურობით გაჟღენთილი მეცნიერ-მხატვარი უნდა იდგეს მისი სურათების წინაშე და უხილავი მარგალიტების ამოკრეფას აწარმოებდეს. ისიც საკითხავია, – შეძლებს? უსასრულო დროა საჭირო მისი შედევრების უკიდეგანობაში, რომ იმოგზაურო და ნათლად გამჟღავნდეს – ეს კი, ჯერჯერობით შეუძლებელია!...“

თქვენი დიდი შემოქმედების დამფასებელი მრავალათასოვანი ლაშქარიც იმ მეცნიერ-მხატვრის დღეშია, ბატონო რეზო!...

მხოლოდ ღვთისმოშიშნი ახერხებენ მისებრ ცხოვრებას, ფიქრსა და ღვაწლს. მართლაც შეუძლებელია წარმოდგენა ისეთი რეზო ადამიასი, რომელიც მასთან პურის ნატეხის სათხოვნელად მისულს მიახლის: – შე კაცო, ჩემგან მერედა რა გინდა, სხვასთან წადი, გაძეხი და თავად კი, ლუკმასაც არ უწილადებს.

მას, სულიერად უმდიდრეს ადამიანს, გამორჩეულად აქვს შესისხლხორცებული, რომ წუთისოფლად დიდი ქონების პატრონი, ვინც ვერ ხედავს განსაცდელში ჩავარდნილ მოყვასს, ღმერთისგან უსიყვარულოდ რჩება.

–„მხოლოდ სათუთი სულის მფლობელთ ძალუძს ხალხის გულში სიღრმემდე ჩაღწევაო“, – რა დიდებულად ბრძანა დიდმა კონსტანტინე გამსახურდიამ და რა ლამაზად მიესადაგება ის ბატონ რეზოს, – საოცრად ფაქიზ, მშფოთვარე სულის ბრწყინვალე ხელოვანს, რომლის ნიჭის ამღიარებელი დარგში მოღვაწე მაღალპროფესიონალები დღემდე ვერ შეთანხმებულან და დავობენ იმაზე, თუ რომელი უფრო დიდია: რეზო ადამია – საქართველოს სახალხო მხატვარი, ხატმწერი, პარიზის მსოფლიო ხელოვნების ცენტრის მუდმივი წევრი, თუ რეზო ადამია – მწერალი, დავით აღმაშენებლის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი?!

ამ მხრივ, უდავოდ მნიშვნელოვანია, სიცოცხლეშივე კლასიკოსად სახელდებული ბატონ რევაზ მიშველაძის ორი ნათქვამის მოშველიება დიდ ხელოვანზე; აი, ისინიც:

–„არ იქნება მართალი თუ ვიტყვი, რომ რეზო ადამია მხატვრობისაგან თავისუფალი წერს თავის ბრწყინვალე ესეებს.

ყოველ შემთხვევაში, „ვაჟა-ფშაველა“ და „ტერენტი გრანელი“, თავისუფალ დროს, შესვენებისას, დანერილს არა ჰგავს.

ჩემი ღრმა რწმენით, რეზო ადამიას, როგორც შემოქმედის, ბუნებაში თანაბარი დოზით თანაარსებობს მხატვრის და ლიტერატორის ნიჭი.

მე არაერთგზის მქონია საშუალება მკითხველისა თუ მსმენელისათვის ეს დამემტკიცებინა.

რასაც თქვენ ახლა წაიკითხავთ, სრულიად ახალი რაკურსით დანახული ვაჟა-ფშაველაა.

ესეისტი ცდილობს კოსმიური გენის საშუალებით ამოხსნას „გველის მჭამელის“ ავტორის ურთულესი ფენომენი და იპოვოს ის საერთო, რაც გენიოსებს ხელოვნების რა უნარსაც უნდა ემსახურებოდნენ ისინი, ერთმანეთთან აკავშირებთ.

ემოციური მუხტი, რითაც გამსჭვალულია ცნობილი მხატვრის ეს მშვენიერი ქმნილება, გადამდებია და სწორედ ეს გახლავთ „მიზეზი“ იმისა, რომ „ვაჟა-ფშაველა და დრო“... თავს სულმოუთმელად წაგაკითხებთ.

მე კი, ჩემდათავად, დაბეჯითებით მოგახსენებთ, რომ წინამდებარე ესსე ვაჟა-ფშაველაზე აქამდე დანერილ სხვა წიგნებს არა ჰგავს.

იგი პროფესიონალი მხატვრის მიერ დანახული ვაჟა-ფშაველაა“.

და, მეორეც:

–„ამ გამოფენამ კიდევ ერთხელ ნათელჰყო ჩვენს წინაშე, რომ რეზო ადამიას სახით საქართველოს დიდი, უაღრესად ორიგინალური, ჭეშმარიტად სახალხო მხატვარი ჰყავს.

გალაკტიონის სევდა, მისტიკური ხილვები, პოეტის დრამატიზმი, უშუალობა, საგანთა და მოვლენათა სრულიად ახლებური ლირიული კავშირი, რომელიც გალაკტიონმა თავისი გრძნეული ბგერწერით შექმნა, რეზო ადამიამ შეძლო ფერწერით გამოეხატა.

იშვიათად მინახავს, რომ მხატვარი ასე ღრმად ჩაწდომოდეს პოეტის შინაგან სამყაროს.

აღფრთოვანებული ვარ“.

სწორედ ასეთმა განწყობამ ათქმევინა რუსთაველის პრემიის მფლობელს, „რაინდ მწერალს – რევაზ მიშველაძეს თანამოსახელე ხელოვანზე ასეთი ფრაზა: *„გრძნეული კაცი ხარ შენი ფუნჯითაც და შენი კალმითაც“.*

ახალი წლის მობრძანების დღეებში, ცხოვრების ხანგრძლივ გზაზე სასიკეთო საქმეების კეთებასა და კვლავაც ულევ შემოქმედებით სიხარულებს გისურვებთ დიდო კაცო და დიდო ხელოვანო, ბატონო რეზო!...

ეს ოდენ ჩემი სურვილი არაა, ეს ქართველი ერის სურვილიცაა.

არ დავმალავ და პირდაპირ გეტყვით, რაღაც გამორჩეული სითბოთი უყვარხართ ხალხს, კოლეგებს. მეც მათ მხარდამხარ ვარ და ყოვლადუზენაესს შევთხოვ ძალიან დიდხანს გამყოფოთ ჩვენი დედასამშობლოს, საყვარელი ოჯახის, ძვირფასი ადამიანებისა და ქართული ხელოვნების მსახურებაში. მრავალჟამიერ!...

ლევან გვეტაძე

აშუღური პოეზია

სანდრო ზედგინიძე

ცხოვრობდა მე-19 საუკუნეში. მის სიმღერებში გაისმის ავტორის მიერ არსებული ყოფაცხოვრებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. ცნობილი არაა მისი დაბადება-გარდაცვალების წლები, ასევე დაუდგენელია, რომელი სოფლიდან იყო.

***

შევციცინებთ, ღმერთო, ჩვენ, შენს განაჩენს,
განგვისაზღვრე სასიცოცხლო ვადა ჩვენ.
გატლეკილი ენით როგორ გადავრჩეთ,
ბუ დაჰკივლებს ჩვენს სამარეს, ვჩივი მე.

ყვავილნარი მუდამ აღმოცენდება,
მზენათელი ერთხელ დაგვიბნელდება,
ბეწვის ხიდზე გავლა გაგვიძნელდება,
შენ შეგყურებთ, ღმერთო, მწარედ ვკივი მე.

დილით მზე ამოვა, ბრწყინვალე ხვითო,
ღმერთო, ცას და მიწას განაგებ, ვითომ?
სანდრომ ეს ლექსი იმღერა თვითონ,
ვერ გავიშრეთ თვალთა უპე, ვჩივი მე.
(ლექსს აკლია დასაწყისის რამდენიმე სტროფი. ჩამწერის შენიშვნა)

***

ქვეყნის შემქმნელო, გამჩენო,
სათვალავით შენ მოგვეცი ვადა ჩვენ,
გვიტრიალებს ბულბულივით ენა ჩვენ,
ერთ დღეს ბაიყუში*იკივლებს ჩვენს
სამარეზე.

ბაღებში გაიშლება ყვავილი,
ერთ დღეს სული სხეულს გაეყრება,
ბენვის ხიდზე გავლა გაგვიძნელდება,
ისევ ის ღმერთი გაგვაცამტვერებს.

დილით მზე დაიბადება დედისგან,
ღმერთო, ცა და მიწა თრთის შენგან,
სანდრომ ეს ლექსი იმღერა თვითონ,
ერთ დღეს არ გაგვიშრა ჩვენ თვალთა უპე.

***ბაიყუში – ბუ**

ფეიდაი

ფეიდაი მურად ისპარაშვილის აშუღური ფსევდონიმია. სიტყვა „ფეიდაი“ სპარსულია და ნიშნავს „დაჯილდოებულს“ (იგულისხმება ღვთისგან, ბუნებისგან დაჯილდოებული), იგი სამცხე-ჯავახეთის მკვიდრი გამაჰმადიანებული ქართველია, რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მე-19 საუკუნის შუა წლებში. ჩვენამდე მოაღწია მისმა მხოლოდ რამდენიმე სიმღერამ და ამ მცირედი მემკვიდრეობითაც კარგად ჩანს, რომ იგი საკმაოდ დახელოვნებული და ნიჭიერი აშუღი ყოფილა.

ტრიალებს

მოშვებულა წუთისოფლის ბორბალი,
დღიდან-დღეზე უკუღმართად ბზრიალებს,
ღვთის გაჩენილს ღვთის გზა დავიწყებია,
მეჯნუნივით ბორიალობს, ტრიალებს.

ბრძენთა ხელით შევსვი სიბრძნის ფიალა,
შევაწუხე მიწაც, ზეცაც კრიალა,
ამ დროებამ მეტად გაგვატიალა,
სიკეთის წილ ბოროტს დაგვიტრიალებს.

იმ ლეღვის ხის ნაყოფს ვწყევლი მარადის,
ვინც მოვედით, მივალთ კუბოს კარამდის,
ფეიდაი ქონებისთვის არ დადის,
განკითხვის დღეს ფული შხამად იალებს.

ჩემთან არის

ბულბული ვარ, ბაღში ვბუდობ,
ვარდ-ბაღნარი ჩემთან არის,
გუნდი, ზურმუხტ-ლალი,
ის გოჰარი ჩემთან არის.
უთავბოლო ამღებ-მიმცემს არ ვუჩვენებ
ჩემს საგანძურს,
ღვთით ბოძებულ ძვირ საჭურჭლის
სოვდაგარი ჩემთან არის.

ქვეყნად ერთ დარდს შევეყარე,
გულის ცეცხლი არ ნელდება,
უბადლოა ეს წამება, ვნაღვლობ და
თვალთ მიბნელდება,
რჩეულ ვაჟთა მეჯლისებში ზოგჯერ
წილი მეცა მხვდება,
შნო მივიღე ბრძენ კაცთაგან,
ქვეყნის ლარი ჩემთან არის.

ქარში, წყალში, იმ ბინდ-ბუნდში
ღმერთმა შექმნა ადამ-ევა,
გამგები ხარ? გახსენ თვალი, წინ გიდგივარ,
ერთიც მე ვარ,
ფეიდაი დღე და ღამე,
გემადლები ბედის მდევარს,
უსამართლო წუთისოფლის
საწყევარი ჩემთან არის.

გმირს რომ ჰქონდეს ასპარეზი

გმირს რომ ჰქონდეს ასპარეზი ამქვეყნად,
რატომ დასთმობს სახელსა და დიდებას,
თუ კაცს არ აწუხებს მწვავე ტკივილი,
ის წამლისთვის ლოხმნს გაეკიდება?

უცრემლოდ რომ ენთოს თვალები ტურფა
და ნანატრი ხმები არ იყოს უქმად,
არ მოხიბლოს ფარვანა სინათლის შუქმა
ცეცხლის ალში რატომ დაიფერფლება?

ფეიდას იმედი არ აკლდებოდეს,
მეჯნუნი ლეილას თავს ევლებოდეს,
ზარნაშო რომ დღის სინათლით ტკბებოდეს,
ნანგრევებში რატომ შეიხიზნება?

ზეინი

ზეინი ტოფო ბერიძის აშუღური ფსევდონიმია. ზეინი დაბადებულა 1855 წელს ახალციხის მაზრის სოფელ ერკოტაში. იგი ცნობილი აშული იყო. მას ეკუთვნის სიტყვები: „აშულ შივლას მეტი არავისი არ მეშინიაო“. გარდაიცვალა 1918 წელს.

ზეინის შემოქმედება თითქმის მთლიანად დაკარგულია. შემორჩენილია ძალიან მცირე ნაწერები. აი ერთი მათგანი, რომელიც აშულს დაუწერია ძმის – ალექსანდრეს პირველ მსოფლიო ომში გაწვევის გამო.

არა ჩანს

მოვიდა დრო, ოცი წელი შესრულდა,
მოგედნენ ზავთარები, იწყეს თავდიში,
გადასცეს კანონს, იმ არასასურველს,
უფროსთა სინდისში რწმენა არა ჩანს.
ფრენა-ფრენით თოვლიან მთებს
გადავლებულან
.....
ახალგაზრდობაშივე გზა-კვალი შემშლია,
ვეძებ, გათავისუფლებული სამშობლო
არ ჩანს.
..... თარული გახდა ასი,
ალექსანდრე ჩავარდა ხალხის ჩანგში.
ამბობენ, უნდა წავიდეს რუსეთში,
უფროსთა სინდისში რწმენა არა ჩანს.

*

ისეც არ გვაკლდა, – არა ჩანს,
მოვიდნენ „ზავთრები“, იწყეს თავთიში,
გადასცეს სამართალს, დათესეს შიში,
უფროსთა ქცევაში სინდისი არ ჩანს.
თოვლიანი მთები გადმინგრევია,
ქარიშხალიც გზაზე ვერ დამწევია,
დღეს კი, ვაუკაცს, გზები მთლად ამრევია,
ვაცეცებ თვალებს, მამულს ვეძებ, არა ჩანს.
არ ვიცი, თუ ვისი ბრალია,
ალექსანდრე შემინუხეს ძალიან,
ამბობენ, რომ რუსეთს წამავალია,
გამკითხავი არ არის და არა ჩანს!

შენიშვნა: *ამ ლექსს აკლია დასასწყისი და ბოლო სტროფი, რაზეც მიგვანიშნებს აშუღური პოეზიის უაღრესად ნიშანდობლივი და აუცილებელი ატრიბუტების გამოტოვება. რაც იმაში მდგომარეობს, რომ ლექსის პირველ სტროფად წარმოდგენილი ხანა ეტყობა, რომ პირველი არ არის (პირველი სამი სტროფის მიჯრით გარითმვა ჩვეულებრივად იწყება მეორე სტროფიდან და გასდევს ბოლომდე.*



ნახატი მიხეილ იაქისა

პირველი სტროფი კი ირითმება ან ჯვარედინად, ან გარითმულია მეორე და მეოთხე სტრიქონები. ბოლოდანაც რომ აკლია ლექსს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ბოლო წარმოდგენილ სტროფში არ არის ავტორის გამოცხადება, რაც აუცილებელია აშუღურ პოეზიაში.

პექტაი

პექტაი აკოფ ზაზაძის აშუღური ფსევდონიმია. იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში. პექტაი მესხეთის ცნობილ აშუღთა პლეადას ეკუთვნის (ალბათ სოფელ აგარიდან. ასპინძის რაიონი). იგი გარდაიცვალა 1914 წელს. ქვემოთ მოტანილ ლექსში ავტორი ვიღაცას, რაღაც დიდი დანაშაულისთვის და ჩადენილი ბოროტებისთვის წყევლის დაუზოგავად.

ნიადაგ

გამჩენსა გთხოვ, ამისრულოს სურვილი,
ამ სოფლად ვერ ხალვათობდე ნიადაგ,
დამიკარგე რწმენა და ღვთისმშობელი,
შენს ღირსებას ვინძლო სთმობდე ნიადაგ.

უღალატე მართალ რწმენას, ღვთაებას,
ნაცვლად გაჰყე ეშმაკის კვალს და ნებას,
დღე დადგება მარწუხებში გაება,
სატანჯველში იხრჩობოდე, ნიადაგ.

პირი გიყონ, კაცთა შევევედრები,
შეიშალე, ჭკუით ნუ დაბერდები,
შვიდ წელს წოლით შემოგალპეს გვერდები,
გაჩენის დღეს, ვინძლო, გმობდე ნიადაგ.

ღატაკ ნიკომ ყოფნა დაისამარა,
შიშვლად ძრწოდე უძღებ მუცლის ამარა,
არც ერთ რჯულმა არ გაღირსოს სამარე,
განკითხვის დღეს ვიწროდ გრძნობდე,
ნიადაგ.

შხამად, ვიშად გექცეს წუთისოფელი,
როგორც პექტაი ჭირში მყოფელი,
საყვარლის ნაწნავი, წერწეტა წელი,
გველად გექცეს, ზიზღით ძრწოდე ნიადაგ.

ჩაიწერა არსენ კარაპეტიანმა 1950-იან წლებში. მოგვაწოდა ნარციის კარაპეტიანმა 2016 წელს

უცხოელთა დაინტერესებას და ჩვენი სამშობლოს უკეთ გაცნობას შეუწყობს ხელს

მართლაც, რომ ფუნდა ვიამაყოთ!



გასული წლის 9-15 ნოემბერს (№45 (1110) ყოველკვირეულ გაზეთ „კვირის პალიტრა“-ში, მე-4 გვერდზე მთლიანად განთავსებულია ფოტო-ილუსტრაცია სათაურით – „10 რამ, რითაც ქართველებმა უნდა ვიამაყოთ“. აღნიშნულმა საგაზეთო მასალამ ძალზე დამაინტერესა, რადგან, უცხოელებისა რა მოგახსენოთ და, შეიძლება ითქვას, ბევრმა ქართველმაც კი არ იცის, თუ რა გვაქვს ამდენი საამაყო.

ვფიქრობ, აღნიშნული საგაზეთო მასალით უნდა დაინტერესდნენ არა მარტო ტურისტული ორგანიზაციები, არამედ, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, სამხარეო ადმიანისტრაციები, ქალაქების მერიები, ინფრასტრუქტურის და რეგიონული განვითარების სამინისტრო და, მთლიანად, საქართველოს ხელისუფლებაც.

აბა, კარგად დავუკვირდეთ, ყველა იმ ისტორიულ ადგილზე, სადაც უცხოელ ტურისტს თუ დამსვენებელს მოუწევს მისვლა, ძეგლის დათვალიერებასთან ერთად თვალსაჩინოდ რომ იხილავს კარგად გაფორმებულ ბანერებს, სადაც ასახული იქნება 10 საამაყო ფაქტის ამსახველი მასალა, შეუწყობს თუ არა ხელს ტურისტების და დამსვენებლების გათვითცნობიერებას და დაინტერესებას ქვეყნის წარსულით, აწმყოთი და მომავლით.

ახლა კი გავეცნოთ ათივე საამაყო ფაქტს:

№1 სიამაყე – „მსოფლიოში 5000-მდე ერია და მხოლოდ 200-მდე სახელმწიფო.

ჩვენ ერთ-ერთი უძველესი კულტურისა და ისტორიის მქონე ერი და სახელმწიფო ვართ;

№2 სიამაყე – მსოფლიოში 7000-ზე მეტი ენა არსებობს, დამწერლობა კი სულ 14-ია. 14 დამწერლობას შორის ერთი ქართულია (მეხუთე სიძველის მიხედვით);

№3 სიამაყე – ქართული მწერლობა 15 საუკუნეს ითვლის. ქართველებს საამაყო ქრისტიანული ლიტერატურა და მხატვრული ნაწარმოებები გვაქვს. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (მე-12 საუკუნე) კი მსოფლიო შედევრად არის აღიარებული;

№4 სიამაყე – ქართული ხალხური მრავალხმიანი სიმღერა იუნესკომ 2001 წელს კაცობრიობის ზეპირსიტყვიერი და არამატერიალური მემკვიდრეობის შედევრად აღიარა. 1977 წელს ილია ზაქაიძის და როსტომ საგინაშვილის მიერ შესრულებული „ჩაკრულო“ „ნასამ“ კოსმოსში გააგზავნა;

№5 სიამაყე – ქართულ ხალხურ ცეკვას მრავალი საუკუნის ისტორია აქვს, ქართული ქორეოგრაფია მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნევა, ქვეყნის საზღვრებს გარეთ სახელი გაითქვეს ქართული ცეკვის ანსამბლებმა;

№6 სიამაყე – საქართველო ვაზის და ღვინის სამშობლოა, რასაც ადასტურებს ისტორიული ფაქტები, – არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ყურძნის წიპწიპები, რომელნიც ძვ. წ.აღ-ის მე-7-მე-6 ათასწლეულებს განეკუთვნება. გარდა ამისა, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ენეოლითის დროინდელი მარანი. საქართველოში ყურძნის 600-ზე მეტი ჯიშია;

№7 სიამაყე – საქართველო ხორბლის ერთ-ერთი სამშობლოა. მსოფლიოში 27 სახეობის ხორბალი არსებობს. ამ 27-დან 14 ქართული ხორბლის სახეობაა, მათ შორის – 5 ენდემური. ქართული ხორბლის ჯიშებს აქვთ უნიკალური თვისებები: ყინვისა და გვალვის მიმართ გამძლეობა და სტაბილურმოსავლიანობა;

№8 სიამაყე – ქართული სამზარეულო თავისი მრავალფეროვნებით ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნევა მსოფლიოში;

№9 სიამაყე – საქართველო მინერალური წყლების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ არის მტკნარიც და ძლიერ მინერალიზებულიც, ცივიც და თერმულიც, ყველა სახის გაზის შემცველი წყალი. ბუნების მკურნალ ძალებს შორის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი წყალს უჭირავს. საქართველო კურორტების ქვეყანაა. მას შედარებით მცირე ტერიტორიაზე აღრიცხული და ნაწილობრივ შესწავლილია 1000-ზე მეტი მინერალური წყარო.

№10 სიამაყე – დედამიწაზე ძნელად თუ მოიძებნება საქართველოსავით პატარა ქვეყანა, რომლის ტერიტორიაზეც ნახავთ ნახევრად უდაბნოსაც, ტროპიკულ ტყესაც, ზღვისპირეთსაც, მყინვარებით დაფარულ მწვერვალებსაც. ქვეყნის ყოველი კუთხე ერთმანეთისგან განსხვავებული, ულამაზესი და უნიკალურია“.

როგორც აღინიშნა, საამაყო მართლაც ბევრი გვაქვს და თუ ამ საამაყო ფაქტებს ბანერებზე გადავიტანთ (რამდენიმე ენაზე) და თვალსაჩინო ადგილებზე გამოვფენთ, ვფიქრობთ, საშვილიშვილო საქმეს გავაკეთებთ,



მითუმეტეს, თუ ასეთ ბანერებს, ტექსტების მიხედვით, მხატვრულადაც გავაფორმებთ და წასაკითხად და აღსაქმელად ხელმისაწვდომი იქნება ყველასათვის.

ზემოაღნიშნულ გაზეთში ყოველი ნომრით გამოქვეყნებულ ტექსტს შესაბამისი ატრიბუტიკაც ახლავს და დაინტერესებულ პირებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, უთუოდ გაუადვილებს საქმიანობას, თუმცა, საკუთარი ფანტაზიითაც შეუძლიათ იმოქმედონ.

გაზეთმა „კვირის პალიტრა“-მ შესანიშნავი იდეის ხორცშესხმისკენ გვიბიძგა და ვისაც ხელეწიფება და სურვილი აქვს პრაქტიკულად შეუძლია განახორციელოს.

თემურ ხუხუნაიშვილი

კულტურა

ბიბლიოთეკა თანამედროვე შენობაში გადავა

საქართველოს იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის ინიციატივით, ამას წინათ გაცხადდა, რომ ახალი ტიპის საზოგადოებრივი ცენტრები რამდენიმე რეგიონში აშენდება.

ერთ-ერთი ეხება დაბა ბაკურიანში ბიბლიოთეკისთვის თანამედროვე ტიპის შენობის აგებას, სადაც მოსახლეობას საშუალება ექნება 200-ზე მეტი სახელმწიფო სერვისი მიიღოს.

წიგნის მოყვარულებს საშუალება ექნებათ კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურას გაეცნონ.

ამასთან, ბიბლიოთეკა წიგნის მოყვარულებს თანამედროვე გარემოს შესთავაზებს. დაწესებულება სისტემატურად შეივსება ახალი გამოცემებით.

პროექტი, – საჯარო ბიბლიოთეკები ადგილობრივი განვითარებისთვის – საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX) მხარდაჭერით, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა (GLA) და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI) თანამშრომლობით განხორციელდება.

ბორჯომელი თეატრალების წარმატება

გასული წლის მიწურულს საქართველოს სახალხო თეატების ფესტივალში მონაწილეობა ბორჯომის სახალხო თეატრის მსახიობებისთვის წარმატებული გამოდგა.

ჟიურის გადაწყვეტილებით, ფესტივალზე მონაწილე ბორჯომელთა დასს ფესტივალის ლაურეატის წოდება მიენიჭა. ბორჯომელებმა ფესტივალზე წარმოადგინეს თეატრალური დადგმა „ყვარყვარე“. მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის სპეციალური პრიზი გადაეცა მსახიობ სოსო გელაშვილს.

თემურ ხუხუნაიშვილი

„მიეცი ნიჭსა გზა ფართო“!

ხეების მეჯლისი



ტრიალ მინდორში ხეები კამათობენ. ვაშლის ხემ ბაღიდან თავი გამოყო და მუხას შეუძახა: – მე ისეთი ნაყოფი მაქვს, რომ ჩემი ნაყოფით თვით მეფის სუფრასაც ამშვენებენ, შენით კი მხოლოდ ღორები თუ იკვებებიან!

მუხამ მხრები შეათამაშა, ჩაიცინა და დინჯად უპასუხა: – ჩემს ნაყოფს თუ არავინ მიირთმევს, სამაგიეროდ, ჩემი მერქნისგან დამზადებულ ავეჯს მეფეებიც იყენებენ, დიდ სარგებელს იღებს ჩემგან თითოეული ადამიანი.

მუხას იქვე მდგომი ნაძვის ხე შეეკამათა: – მე ისეთი ხე ვარ, რომ ყოველ ახალ წელს, ყველა ოჯახში მიმესვლება და ყველგან სიხარული შემაქვს.

ხეების კამათს ვენახმა მოჰკრა ყური, ულვაშებით ხეებს მოეჭდო და ჩაიჩურჩულა: – ჩემი ნაყოფით რა არ კეთდება, თუნდაც უგემრიელესი ღვინო. ის ადამიანებს ლხინშიც გამოადგებათ და ჭირშიც, რომ აღარაფერი ვთქვა, ფელამუშსა და ბადაგზე.

ხეების კამათმა ძალიან გააკვირვა ნატვრის ხე: –მეგობრებო, აქ ვერ მხედავთ, განა? როცა ერთმანეთში დავობთ, თავს იწონებთ, მე არ დამივიწყოთ, რადგან ყველა ადამიანის გულში ვცხოვრობ, მათ გულებში ვზივარ და ათას ნატვრას ვუსრულებ!

მთაში დარჩენილი თაგვები

თაგვები ბარშიც და მთაშიც ძალიან ბევრნი არიან. მთაში მცხოვრებ თაგვებს უხარიათ ბავშვების აქ ყოფნა, რადგან ისინი ხილს ჭამენ, თაგვები კი – ხილის ნარჩენებს. მათი საკვები ხომ მხოლოდ ბალახი და ხის ფესვებია. საბრალო თაგვები ხშირად მშივრები არიან და როდესაც ხალხი ბარში ბრუნდება, იქ დარჩენილ თაგვებსაც უფრო უჭირთ, მით უმეტეს, ზამთარში საკვებს ველარ პოულობენ! საინტერესოა, რით იკვებებიან საბრალოები? მთაში სარჩოს მოძებნა ხომ უფრო ძნელია, ვიდრე ბარში. მთაში სუფთა წყალია, სუფთა ჰაერი, მაგრამ ბარის თაგვებთან შედარებით, ეტყობა, უფრო ცოტა ხანს ცოცხლობენ. ბარში ბევრი საკვებია, ბევრი სარჩო-საბადებელი, მისი მოპოვება არ უჭირთ თაგვებს, განსაკუთრებით, პურის ყანებში. ჰოდა, ისინიც საზრდოს ყანებიდან გულმოდგინედ ეზიდებიან თავიანთ სოროებში, ემზადებიან საზამთროდ. მათ ბარში ბევრი მტერიც ჰყავთ, – დიდულვაშა კატების სახით.

ფოთოლი

ხე ფოთლებით შემოსილიყო და თავს ამ სილამაზით იწონებდა. ხე ყველა ფოთოლს ეფერებოდა, გულში იკრავდა, ცივ ნიავს არ აკარებდა, უვლიდა. ფოთლები ხის შვილები იყვნენ და დედაც, რა თქმა უნდა, სხვაგვარად როგორ მოიქცეოდა?

ხეს ძალიან სტკიოდა გული იმის გახსენებაზე, რომ შემოდგომით ფოთოლცვენა დაიწყებოდა, შვილები

დაკარგავდნენ ხასხასა მწვანე ფერს და მოუწევდათ მათთან განშორება. დედა ოცნებობდა, რომ ქარს ისინი შორს არ წაეღო, ნაღვლიანად ფიქრობდა ქარზე, რომელიც მის შვილებს, ვინ იცის, სად წაიღებდა. ხეს შვილები ამშვიდებდნენ:

– ნუ გეშინია, დედა, ქარი ვერაფერს დაგვაკლებს, საითაც არ უნდა გაგვაქროლოს, შენი სიყვარული თან გაგვყვება! დედას იმედი მიეცა, გული სიხარულით აენთო.

დადგა შემოდგომა. ფოთლები სათითაოდ ემშვიდობებოდნენ დედა-ხეს; და აი, მხოლოდ ერთი ფოთოლიღა შერჩა მშობელს, ეს ფოთოლი პაწაწკინტელა, ნაბოლარა იყო, მას არ სურდა დედასთან განშორება, მაგრამ მაინც მოწყდა ტოტს და იმდენი მოახერხა, რომ დედის ფესვებთან დაეცა. ფოთოლი აღტაცებას ვერ მალავდა, უხაროდა დედასთან ახლოს რომ იყო.

დადგა ზამთარი, – თოვლი და ტალახი აირია ერთმანეთში. ფოთოლიც ტალახმა დაფარა და მიწაში ჩაიტანა, თუმცა დედის ფესვებს ჩასჭიდებოდა მაგრად, ეხუტებოდა, კოცნიდა.

გაზაფხულზე ხე კვლავ შეიმოსა მწვანე ფოთლებით. თუმცა, მშობლის ნაბოლარა შვილი – ფოთოლი არ დავიწყებოდა, კვლავ მისი მოგონებით ცოცხლობდა.

ანი ასპანიძე,
10 წლის, ახალციხის პირველი საჯარო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე

ანდაზები

ა

ავი დედ-მამის ნაქნარსა, შვილს უხვედრებდნენ წინაო.
ავი ცხოვრობდა ცოდვითა, ბრძენი ბრძენობდა ცოდნითა.
ავ გულით მოსულ კაცსაო, დღეს უყენებენ შავსაო.
ავი ქალის ენაო, ტანზე ჭინჭრის კბენაო.
ადგები, დამეწევიო, დაჯდები დაგეწევიო.
ავი კაცის ავი საქმე არც შენ გარგებს, არც სხვასაო.
ალალ კაცს დილა ახარებს, არამს კი ბნელი ღამეო.
არ დათესო ისაო, რაც არ მოიმკისაო.
არ დამაყვედრო სიკეთე, გადგიხდი, რაც გამიკეთე.
არ უჯერის დედასაო, არ აკლებენ ცემასაო.
აწმყოს მხარჯავი ახარებს, მომავალს – შემნახველიო.
ასცდები სწორსა გზასაო, ციხე გაგიღებს კარსაო.
აღსაზრდელს ზრდიდა უზრდელი, ზრდილობა არსად ჩანდაო.

ბ

ბარში დაწუნებული ხილი, მთაში დაფასდებაო.
ბნელში შავად ნაფიქრალი, ავ მოსავლის მთესველია.
ბრძენი სახეს უცქეროდა და ზურგსაც ხედავდაო.
ბრძენი შორსა გზას ამოკლებს, უვიცი სიცოცხლესაო.

გ

გათამამებულ თავხედსა, არ უჩვენებენ სახესა.
გავასესხე ძმურადაო, ჩამასესხა მტრულადაო.
გვიან მოსული გონსაო, გზას ვერ გაივლის შორსაო.
განი-განს მოსიარულე, მალე ასცდება გზასაო.
გინდ შეპირდი სამოთხეო, რაც არა მაქვს რა მოგცეო.
გზა არსად მისცე მტერსაო, შეუყვარდები ერსაო.

დ

დარდი გულში დუღდა და თვალებიდან გადმოდიოდაო.
დაგიძმობილდა მტერიო, თვალში აყარე მტვერიო.
დანაშაულის ჩამდენსაო, უწყევლიან გამჩენსაო.
დარდი გულს დაუმეგობრდა, სახემ იცვალა ფერიო.
დაუპატიჟებელი სტუმარი მასპინძელს იწუნებდაო.
დაწყებული ავადაო, დამთავრდება შავადაო.
დაყვედრებული სიკეთე ტალახში გასვრილაო.
დათესილს სიფხიზლეშიო ნუ მომკი სიმთვრალეშიო.

ე

ეკალს ფეხს თუ არ დაადგამ, არ შეგენსობაო.
ენა არ ჰქონდა ისე ბასრიო, როგორც ნათქვამი სიტყვა-აზრიო.
ერთმა დაკარგა თვალიო, ორმა ჩაიცვა შავიო.

ვ

ვალში ჩავარდნილი, წყალში ჩავარდნას ნატრობდაო.
ვინც მიწას უგდო ყურიო, არ მოკლებია პურიო.
ვინც არის გონიერიო, ის არის ღონიერიო.
ვინც გაურბის შრომასაო, ის დაკარგავს ნდობასაო.

ზ

ზარმაცი არამწადიას ნაცვლად არამცალიას იძახდაო.
ზარმაცი ჩრდილსა ნატრობდა, მისი პერანგი – ოფლსაო.
ზარმაცი სტუმრად მოვიდა, საწოლი გადასინჯაო.
ზარმაცი კაცის ხელში ბაღიც ტყედ გადიქცევაო.
ზოგი ცალი თვალით ორს ხედავს, ზოგი ორით კი ერთსაო.
ზეიმს ღიმილი ამშვენებს, გლოვას ოხვრა და კვნესაო.
ზოგი მეგობარი ძმობას ახერხებს, ზოგი ძმა ძმობას ვერაო.

თ

თავგატეხილს თავი სტკივა, გულგატეხილს გულიო.
თაფლი ზომაზე – ტკბილია, უზომოდ – ჭირიო.
თავაღებული სწორ გზაზე წაიქცევაო.
თავი თავდაცვისააო, არა თავდასხმისთვისაო.
თვალით დღევანდელს ხედავენ, გონებით – ხვალინდელსაო.
თვითონ თავსლაფი დაისხა, წუწები მოხვდა სხვასაო.
თვალი დაუდგეს გამზრდელსა, შვილის სამარის გამჭრელსა.
თმაში ჭაღარა გამოჩნდა, სიბერემ გაიღიმაო.
თუ დაიცავ მშვიდობასა, არ მიიღებ ჭრილობასა.
თუ დღეს შეჭამე ხვალისა, ხვალ ჩავარდები ვალშიო.
თუ არ გერგება წილიო, არ უნდა შეყო ცხვირიო.

ი

ითიბოს ნამიანზეო, დაგროვდეს დარიანზეო.

კ

კარგად გაზრდილი, კარგი აღმზრდელი გამოვაო.
კარიკარ მოხეტიალეს, ქურდობა დაბრალდებაო.
კაცმა შეცდომა დამალა, შეცდომამ კაცი ვერაო.
კეთილობა დარი არის, ავკაცობა ავდარიო.

ლ

ლოთი ღვინოსა ლევდაო, ღვინო მის სიცოცხლესაო.
ლომთან მელიაო, მელიასთან გველიაო.

მ

მამა ღვინოში ცურავდა, შვილები დედის ცრემლშიო.
მეზობელს ღობე ჩაუვლო, თავისით შეიღობაო.
მექრთამე მშრომელს ძარცვავდა, ყაჩაღი ორივესაო.
მაცდუნებელსა გრძნობასა, გონება უწყებს ბრძოლასა.
მეტისმეტი თავმოყვარე, თავს აძულებდა სხვასაო.
მთა ცხვარ-ძროხას ეძახდაო, ბარი ბაღს და ბოსტანსაო.
მთაში წასულს ბარში ელოდებიანო.
მოურჩენელი ჭირი ჯობს, შეუფერებელ ცოლსაო.
მრუდე გზით მოსიარულეს, ორმო უხდება წინაო.
მუცელში ღვინო ადუღდა, პირიდან გადმოვიდაო.
მუდამ სიცრუის მთქმელსაო, თვალში აყრიდნენ მტვერსაო.
მხდალს გმირობაზე ნუ ეტყვი, ზარმაცსა შრომის გმირზეო.
მხდალნი ემონებიანო, გმირნი ეომებიანო.
მაისის ყვავილს, აპრილში ვერ მოსწყვეტო.
მოხუცმა მეზობლის ვალი დაიდო და შვილის ცოდოო.

ნ

ნუ მატყუებ სამოთხითა, ნურც მის ოქროს სამოსითა.
ნუ ჩავარდები წყალშიო, ნურც ძუნწი კაცის ვალშიო.

ო

ორი გზით მოსიარულე, ორჯერ წამოჰკრავს ფეხსაო.
ოჯახში ორის უფროსობას, ორად გაყოფა ჯობიაო.

მთქმელი პორფილე ოქრომელიძე, ახალციხის რაიონი სოფელი მუსხი, 61 წლის, ჩაწერილია 1981 წელს

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

შალვა კეღოშვილი

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მესხეთის დიდი კოლორიტი, ყველასათვის საყვარელი ლირიკოსი პოეტი და მსახიობი **შალვა პავლეს ძე კეღოშვილი.**

შალვა კეღოშვილმა განვლო ცხოვრების დიდი და საინტერესო გზა. იგი დაიბადა 1946 წლის 19 მარტს, ასპინძის რაიონის სოფელ ხიზაბავრაში, გლეხის ოჯახში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში, მსახიობის სპეციალობით, ხოლო, მოგვიანებით, დაამთავრა გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ქართული ენისა და ლიტერატურის განხრით. შ.კეღოშვილი დიდხანს მოღვაწეობდა ახალციხისა და გორის სახელმწიფო თეატრებში. მან არაერთი საინტერესო სახასიათო როლი ითამაშა და ყოველთვის გამოირჩეოდა ბრწყინვალე საშემსრულებლო ხელოვნებით. მას ჰქონდა გარდასახვის არაჩვეულებრივი უნარი და მის მიერ შესრულებული თითოეული როლი დასამახსოვრებელი იყო მისი ერთგული მაყურებლისათვის. მიუხედავად იმისა, რომ იგი არ გაჰყვა სამსახიობო კარიერას, მაინც განუსაზღვრელად დიდი კვალი დატოვა ორივე თეატრში და დღესაც დიდად აფასებენ მის, როგორც არაჩვეულებრივი მსახიობის ნიჭსა და დამსახურებას ქართული თეატრის განვითარების საქმეში.

შალვა კეღოშვილმა ერთი პერიოდი ჟურნალისტიკაშიც სცადა ბედი და შესანიშნავ საგაზეთო სტატიებს წერდა. ბოლოს კი მან პედაგოგის რთული და საპატიო პროფესია აირჩია, იგი დიდხანს მოღვაწეობდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კითხულობდა ლექციებს და განუსაზღველად დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა სტუდენტ-ახალგაზრდობაში. ამასთან, მრავალი წლის განმავლობაში იყო ადიგენის რაიონის კულტურის სამსახურის უფროსი.

შალვა კეღოშვილი მხატვრული კითხვის ოსტატიც იყო, სისტემატურად მონაწილეობდა რაიონულ თუ რეგიონულ სახალხო დღესასწაულებში, იყო განუმეორებელი თამადა, რისთვისაც 1997 წელს ჩატარებულ კონკურსში – მესხეთის „პირველი თამადა“, – ამ საპატიო ტიტულის პირველი მფლობელიც გახდა. მისი უშუალო მონაწილეობით ადიგენის რაიონის ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა „სახალხო ანსამბლის” საპატიო წოდება მიიღო. მან ასევე დიდი წვლილი შეიტანა სახალხო დღესასწაულ – „ზარზმობის“ აღდგენა-დამკვიდრების საქმეში. თუმცა შალვა კეღოშვილი საზოგადოებას პირველ რიგში მაინც დაამახსოვრდა, როგორც ხალასი ნიჭით დაჯილდოებული პოეტი. მისი ლექსები შეიყვარა რეგიონის (და არა მარტო რეგიონის) მოსახლეობამ. მესხეთში ვერ ნახავთ ქართული ლიტერატურით, პოეზიით დაინტერესებულ ადამიანს, რომ არ იცნობდეს მის შემოქმედებას, ბევრმა ზეპირადაც კი იცის მისი ლექსები.

ხალხური შემოქმედების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის 1998 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. მიღებული აქვს განათლებისა და კულტურის სამინისტროებისაგან დიპლომები, სიგელები, ჯილდოები.

შალვა კეღოშვილი ორი პოეტური კრებულის ავტორია. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. ამიტომაა, რომ მისი გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი მოუშუშებელ იარად დარჩება მისი თაყვანისმცემლების, ახლობლებისა და მეგობრების გულში.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია

ადიგენში

ადიგენში, ჭულეს ახლოს,
სოსნისთვალა გოგო სახლობს,
ვინძლო, ვინმემ ხელი ახლოს,
გადავუწვავ სამოსახლოს.
ზარზმის ბოლოს, იქვე, ტაფობს,
ატამს სახლეჩს, საკბეჩ-საპობს,
სურნელება ისე სჭარბობს,
ფერთა ზღვაში ხევებს ახრჩობს.
გოგო ფიქრობს,
ბიჭი დარდობს,
ერთი ყვავის,
ერთი ვარდობს,
ისიც ნატრობს,
ესეც ნატრობს,
მათი ცრემლი ქვა-ლოდს ადნობს.
მზე გაზაფხულს ძუძუს აწოვს,
ფუტკარი კი აპრილს თაფლობს,
მე რად მაწვიმს,
მე რად მათოვს,
ამისთანა გოგოს პატრონს.
ადიგენში, ჭულეს ახლოს,
სოსნისთვალა გოგო სახლობს,
ვინძლო, ვინმემ ხელი ახლოს,
გადავუწვავ სამოსახლოს!

იმერელო ჩარიდა

დამაცადე, ერთხელ კიდევ
მოვიგიჟო თავი და,
კარ-ფანჯარა ჩაგილეწო,
იმერელო ჩარიდა.
შემოვარდე შავოსანი,
შავ-ქარაგმულ თვალებით,
რაღას იზამ, იმ ერთ წუთში,
სადღა დამემალები.
გტაცო ხელი, შემოგმალო
გულის კუნჭულ-კუთხეში,
ბაგე ყელ-ყურს მოგახვიო
სიყვარულის ნუგეში.
მერე თეთრონს დეზი ვკრათ და...
ღობე-ყორე გვარწიოს,
გამოგვიდგეს მამაშენი,
თვალნი ვერ დაგვანიოს.
გადვიქროლოთ ცხრა ტყე, ცხრა მთა,
ცხრა წყარო და მდინარე,
სისხამ დილით ნამი ვხვრიპოთ,
ფიქალს ჩამომდინარე.
მერე დავსხდეთ, იქვე, სადმე,
ყვავილების ჩეროში,
სულ ერთია, სადაც გინდა,
ამ ჩვენს საქართველოში.
მზე რომ ჩავა, მთვარის შუქზე,
ბაგე ვეღარ დამალო
და ფოთლების შარა-შურში
კოცნა შემოგაპარო!

ოქროს დაქალდი და მერე

ქუჩას მიდიხარ და
მკერდზე იყურები,
კი არ დადიხარ და...
დაფრენ,
ახლა გიგროვდება
ბულულები,
ლამის ამოგიხტნენ
სამგლე.
ტანი სატაცურის
ცაში აგისვრია,
ფრთხილად,
არ დაგემტვრეს ქალო,
თმები აისივით გაგიშლია,
სახე დაისისა დარო.
საით მიიჩქარი,
ნუში არ დამსკდარა,
ჯერა...
უბე შეიკარი,
ყველა შენ გიყურებს,
ყველა!
არვინ გადმოგიხტეს
ქუჩის შაითანი,
ეზო სავსეა და ღელე,
წადი, შინისაკენ,
დამიჯერე,
ცოტაც დაქალდი და...
მერე!

მაყვალი

ორღობე შემოვიარე და
მაყვალი მეუბნება:
„მთვრალი ხაარო“!
ცრემლები გადმომცვივდა,
გულ-მკერდზე ჩამიმწკრივდა,
სულში მაამო.
ხეები ატიტინდნენ,
ფოთლები აკისკისდნენ:
– „რა თქვა, რააო“?
სოსანი იღიმოდა,
გვირილა მიყვიროდა,
ზამბახი ჩურჩულობდა,–
მიწა გამსკდარიყო,
ფერხთით დამდგარიყო.
ნეტავი არვის არ ვენახე,
ბუნებას ჩუმად დავემარხე...
ორღობე შემოვიარე და...
მაყვალი მეუბნება –
„მთვრალი ხაარო“!
ცრემლები გადმომცვივდა,
გულ-მკერდზე ჩამიმწკრივდა,
სულში მაამო.

შალვა კეღოშვილი

„შოთა რუსთაველი თავის პოემა „ვეფხისტყაოსანში“ წარმოგვიდგება, როგორც პირველი სრულიად საკაცობრიო ჰუმანისტი. მისი პოემა მეამბოხე რენესანსის ნაწარმოებია“.

ალექსანდრე კორნეიჩუკი

დღესასწაულები და დღესასწაულებთან დაკავშირებული წესები

(გაგრძ. დასაწყ. იხ.№1,2,12. 2015).

წყალკურთხევა

ახალწლის სწორზე მოდიოდა „წყალკურთხევა“. წყალკურთხევის პირველ დღეს მღვდელი წირვას აყენებდა, აკურთხებდა ერთ ქვაბ წყალს. მეორე დღეს ხალხი ხატებით მიდიოდა მდინარეზე, რომელთაც წინ მიუძღოდა მღვდელი და ნათლია. ნათლიად დგებოდა ვინმე ავტორიტეტული და შეძლებული პიროვნება. ნათლიას ეკლესიის სასარგებლოდ უნდა გადაეხადა ფული. მეფის დროს არა ნაკლებ 3 ან 5 მანეთისა.

მღვდელი წარმოსთქვამდა ლოცვას. ხალხიც ლოცულობდა. ლოცვის დამთავრების შემდეგ, მღვდელი ჩაასვენებდა ჯვარს წყალში და თან ლოცულობდა, ჯვრის ჩასვენების უმალ ნათლია უნდა გადამხტარიყო წყალში და ჯვარი ამოეღო. ხალხი კი გამზადებული იყო. ზოგი ბოთლებით და ზოგი სხვა ჭურჭლით. უნდა დაესწროთ ნათლიისათვის და აევსოთ ჭურჭელი ნათლიის წყლით. ახალგაზრდობა კი ტანგახდილი გადაცვივოდა წყალში და იბანებდა ამ ზამთრის ცივ დღეში. ეს ნათლობის მსგავსი რამ არის და მეორედ გავინათლებითო.

ამის შემდეგ ხალხი მღვდელთან და ნათლიასთან ერთად ხატებითა და წყლით სავსე ჭურჭლებით ბრუნდებოდნენ სახლში და ყველა თავის ოჯახში გამართავდა ქეიფს. ნათლიის წყალს კი ინახავდნენ, როგორც ღვთაებრივ ძალით მომადლებულს, სახლში მოსასხურებლად. რაიმე სიმურტლის გასაბანად. „ნათლიის წყალი“ იმდენად წმინდად ითვლებოდა, რომ მისი დაქცევა, სადაც ფეხი დაედგმებოდა, შეუძლებლად მიაჩნდათ (დიდ ცოდვად ითვლებოდა). ვინმე რომ ავად გამხდარიყო, ან საქონელი, ნათლიის წყალს ასმევდნენ წამალივით ამ წყალს, რომელსაც ვისმეს პირი არ მიჰკარებოდა, დაუმატებდნენ გასაბევრებლად. ნათლიის წყალი წლობით რომ შეგენახა, არ ფუჭდებოდაო, – ირწმუნებიან.

ხდრიელა

დიდ მარხვის დაწყებამდე სამი კვირის წინ პირველი კვირა ხდრიელა იყო (თათრული სიტყვაა), სომხურად – სუფსარქისია.

მატიანე

ახალციხის რაბათის ქალთა სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები. შუაში: მარიამ გამრეკელი, მის გვერდით ალექსანდრე ფრონელი (ყიფშიძე). სურათი გადაღებულია მე-20 საუკუნის დასაწყისში. მოგვაწოდა ნატო ყრუაშვილმა

ზოგი ორშაბათსა და შაბათს, ზოგი კი პარასკევს და შაბათს დაიჭერდა ხდრიელას. ხდრიელას დაჭერის დროს მთელ დღეს არაფერი არ უნდა ეჭამათ. მამაკაცები პაპიროსსაც არ მოსწევდნენ. წყლის დალევაც არ შეიძლებოდა ხდრიელს. განსაკუთრებით ახალგაზრდები მისდევდნენ – საბედოს ვნახავთ სიზმარშიო. მაგრამ არც ხნოვანნი ერიდებოდნენ: – რა მოგველის, გავიგებთო, – ამბობდნენ. მთელი დღის მარხულობის შემდეგ ახალგაზრდები „მარილის კვერს“ იცხობდნენ (ძლიერ მტუტე პურს) და იმას სჭამდნენ: „საბედო სიზმარში წყალს დაგვალევინებსო“. ხნოვანნი კი უჭმელი წვებოდნენ. თუ ძლიერ ახალგაზრდა იყო, ან მოსწავლე, ის წიგნს დაიდებდა თავქვეშ: „როგორ წავა ჩემი სწავლის საქმე, გავიგოო“!

დილით რომ ადგებოდნენ, მოჰყვებოდნენ, ვისაც რა ენახა სიზმარში, ზოგი კი, რა თქმა უნდა, ერიდებოდა, თუ ისეთი რამ იყო – პირადობის შესახებ, რის გამხელაც საძნელო იყო.

თუ სიზმარში ფიცრებს ნახავდნენ, ეს კუბოს ნიშნავდა, ე.ი, უბედურების მომასწავლებელი იყო, ხოლო თუ სხვა რამ კარგს, ეს ხომ სასიხარული იყო.

ბევრი ირწმუნება: გასათხოვარი რომ ვიყავი, მაშინ ვნახე (ხდრიელში): სადღაც კარებზე გავიარე, წინ ჩემი ქმარი შემომხვდა. წყალი მწყუროდა, ვთხოვე, ჩაშკით გამომიტანა და მომაწოდა. დავლიე. მე მაშინ არც ვიცნობდი, როგორც მაშინ ვნახე ტანთაში, იმის შემდეგ პირველ მოსულზე სწორედ იმ ტანთით მოვიდა ჩემ დანიშვნაზე, – შენიშნავენ. არც მამაკაცები აკლებენ: „მე ჩვენი მეზობლის გოგო მიყვარდა: მათ კარზე მივედი, წყალი მწყუროდა, ისე, რო, აღარ შემიძლია, გამოვიდა ჩემი საყვარელი გოგო და წყალი გამომიტანა. ერთიც ვნახოთ, გაჩნდა საიდანღაც უცხო (ან ეხლა რო ქალი მყავს) ქალი, წაართვა წყალი, გადაუქცია და თვითონ მომიტანა:

– „აჰა, დალიე, მითხრა. მეც მწყურვალე დავეწაფე და შევსვი. აპა, რა ვიცოდი მაშინ, რო ეს იქნებოდა. ვნახოთ, ვიარე და ამას წავაწყდი“ – უმოწმებენ ქალებს მამაკაცები.

„მე ხდრიელა დავიჭირე, – ამბობს სხვა. სიზმარში ერთი ბერიკაცი გამომეცხადა (სადღაც ტრიალ მინდორზე ვიყავით), ხელში დიდი წიგნი ეჭირა: „მოდი აქაო, – მითხრა. აქ სწერია შენი ბედიო“. გადაშალა წიგნი, პირველ გვერდზე მე ვიყავი, გადაშალა ჩვენი ოჯალი, გადაშალა, ვიღაც გოგო არის. ეს შენი საბედოა, – მითხრა. კიდე გადაშალა: მე, ის გოგო და ჩვენი ოჯალი იყო. მე ხალხი მეხვია, რაღაცას მელაპარაკებოდნენ. გადაშალა კიდე და ვნახე ვაჟკაცები და ქალები შეხვდნენ, ვნახე ფიცრები, კიდე რო გადაშალა, ვნახე ჩემი თავი წელში მოხრილი, წვერებიანი: ბერი კაცმა მითხრა: პირველი რო ნახე, შენი ოჯალი: ცოლი და შვილები ადრე მოგიკვდება, ეს ბოლოს კი შენ ხარ, დაბერდებიო“.

ბევრი თავის მომავალი წლის იღბლიანობის გასაგებად იჭერდა. ძლიერაც სწამდათ: ხდრიელა უტყუარიაო.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მთქმელი სიკო მელიქიძე,
ბორჯომის რაიონი, სოფელი ბალანთა, ჩაიწერა
გიორგი ზედგინიძემ 1948 წელს

ჰექრეს სარდაფი

მწიფე მსხალი

შემოდგომით, ბიჭებმა მსხალი რომ მოკრიფეს, ბებომ ყველაზე ლამაზი, მწვანე, მაგარი მსხლის კუნწულები აარჩია და საახალწლოდ მაღლა ძელზე ჩამოკიდა...

მოახლოვდა ახალი წელი. საღამოს ბავშვები დროულად ჩაწვნენ ქათქათა ლოგინში, რათა დილით ადრე ამდგარიყვნენ ახალი წლის შესახვედრად. ერთი სული ჰქონდათ, როდის ჩაადნებოდათ პირში ნაყინივით გემრიელი გაყვითლებული მსხლები. ის იყო სინათლე ჩააქრეს და დასაძინებლად მოემზადნენ, რომ შეშინებულმა ჟუჟუნამ საბანი გადაკეცა და სასოწარკვეთილმა დაიყვირა:

– ბიჭებო, მიშველეთ, ვირთხა დამახტა საბანზეო!

მეორე ოთახიდან უცებ გამოცვივდნენ პეტრე და შალვა, სასწრაფოდ მატყლის გასარეცხი ნიჩაბი მოარბენინეს და სიცილ-კისკისით საბნის ქვეშ მოყოლილ ვირთხას დაუწყეს ცემა. თან უხაროდათ და უყვიროდნენ:

– აი, შე მაიმუნო ვირთხა, ესეც შენ! კარგი იყო ბებოს ბატის ჭუჭულები რომ დაუხრჩეო?!

როცა დარწმუნდნენ, რომ ვირთხა მოკლეს, გამარჯვებულებმა ამაყად, სიხარულით საბანი ფრთხილად გადახადეს და, რას ხედავენ.... ჟუჟუნას საწოლის ზემოთ ჭერიდან ჩამოცვენილი მწიფე მსხლები ისე გაეჭყლიტათ, ტყლაპივით გაჰკროდა საბნის თეთრეულს. ხმაურზე შემოსულმა ბებომ გულდაწყვეტილი და ატირებული ბავშვები დაამშვიდა, გაამხნევა და დაარიგა:

– რას ჯავრობთ, ახალი წელია, ძალიან კარგია, რომ ვირთხაც მშვიდობით დაესწრება ახალ წელიწადს.

ბავშვებმა მოილხინეს და სიცილ-კისკისით აიკლეს იქაურობა.

გუგული ელიზბარაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scribd.com; facebook: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. თბილისში გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ შეძენა შეგიძლიათ თავისუფლების მოედანზე – ალ. პუშკინის ქ. №5–ის წინ, მეტრო „თავისუფლების“ გამოსასვლელთან და საქართველოს რაიონებში – „საქპრესის“ ჯიხურებში

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
მერაბ ბერიძე, დურმიშხან ბერიძე, რამაზ ბერაძე, ვახტანგ ინაური

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit_meskheti@yahoo.com